# ლელო

№ 73
(11 222)

15 – 17 სექტემბერი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ლაზღანდარის წრეში.

# მომრავლდნენ მოძალადეები

## ანუ რამდენიმე ეპიზოდი სცენარით თბილისის მერიის ყაჩაღთა ცხოვრებიდან

ჯერ იმ სცენარების შესახებ, რომელიც ასე კარგად აქვთ დამუშავებული იმ სამსახურებს, რომლებიც დედაქალაქში ახალმშენებლობების ნებართვას იძლევიან:

*სცენარი პირველი* (ბაღების, პარკებისა და სკვერებისათვის): უნდა შედგეს დასკვნა, რომ გამწვანების ესა თუ ის ობიექტი მოუვლელია, ნაგვის და ნარკომანების ბუდეა, ჩაბნელებულია (საინტერესოა, ვის ეხება მათი მოვლა?), მწვანე საფარი განადგურებულია და ა.შ. აქედან გამომდინარე ნებართვა შეიძლება გაიცეს ბენზინგასამართი სადგურის (მაგ: ბაგებში ტროლეიბუსების მოსახვევთან და სხვ.), კაფეს ან სულაც რესტორნის, თუნდაც ლუდის ბარის მოსაწყობად (მაგ: სანაპიროზე ტანვარჯიშის დარბაზთან) ან კომბინირებული (ბენზინგასამართი პლუს კაფე – დიღმის მასივში), და ა.შ. და ა.შ. მიზანი: ხსენებული გამწვანების ობიექტების გალამაზება (?!) და მოვლა-პატრონობა.

*სცენარი მეორე:* შედგეს აქტი, რომ გამწვანების მთელი მასივი უვარგისია, მოძველდა, მობერდა ხეები და ადგილი გაიცეს ათასგვარი ობიექტებისათვის (მაგალითად, დავით ალმაშენებლის ხეივანი და მისი მიმდებარე ტერიტორია თბილისის შემოსასვლელთან).

*სცენარი მესამე:* პრესტიჟულ ადგილზე დედაქალაქში ტერიტორიისა და იქვე მდგარი ნაგებობების გათვალისწინებით, გამოინახოს საბაბი, რომელსაც ჩაეჭიდება ნებართვის გამცემი. ამ საბაბის გამოძებნა მეტწილად თვით კლიენტს ევალება და ა.შ. და ა.შ.

*სცენართა სცენარის კულმინაცია:* ნებართვის შემდეგ მშენებლობა უნდა დაიწყოს დამკვრელურად, დღისა და ღამის გასწორებით. თუ ვინმე მომჩივანი გამოჩნდება, როგორმე უნდა „შეკერო“, გული აიჩუყო, რომ მათი სიკეთისათვის კეთდება ეს ყველაფერი, რაიმე უნდა ილონო, რათა დრო გაწელო, დღისით მუშაობა უნდა შეწყვიტო, ვითომ გათვალისწინებულია მოსახლეობის თუ დაინტერესებულ ორგანიზაციათა აზრი, მერე მუშაობა განაახლო გვიან ღამით, თუ მომჩივანი დაწესებულებაა – შაბათ-კვირითაც. ბოლოს და ბოლოს თუ საკითხმა ზემდგომ ორგანოებში, კერძოდ, თბილისის მერიაში გადაინაცვლა, ამუშავდება სრულიად ახალი სცენარი, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: ახლა ჩვენ რომ გავაუქმოთ ის ნებართვა, ხარჯების გამწევს ზარალი უნდა ავუნაზღაუროთ, თანხა კი საამისოდ სადა გვაქვსო და გირჩევენ... მიმართო სასამართლოს. სასამართლოში სიარულის ხალისი, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ფულიანები საქმეს იქაც „ჩააწყობენ“ – სიმართლის მაძიებელს ეკარგება და მეტწილად კონფლიქტიც აქ სრულდება.

სწორედ ასეთივე ბედი ეწია სანაპიროზე ზედ ტანვარჯიშულ დარბაზთან მანქანების სამრეცხაოს მშენებლობის გამო წამოჭრილ დავას.

რჩება ერთად-ერთი იმედი – თბილისის ახალი მერი, ბატონი ვანო ზოდელავა და ის ახალი კადრები, რომლებიც ახლა მერიაში მოვიდნენ და კიდევ მოვლენ. „ხარჯები განეულიო“, განა პირველი ბარის დარტყმისთანავე არ აუწყა „ლელომ“ (ორჯერ) ქვეყანას, რომ სანაპიროზე ძალმომრეობა მძლავრობდა? იქნებ ყველაფერში უფრო დაწვრილებით გაერკვნენ თბილისის მერიაში...

**P.S. მკითხველს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მათთვის ცნობილი ახალი სცენარები, როგორც თბილისიდან, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებიდან.**

---

თასების თასი

UEFA Cup Winners' Cup

## ქო ადრიაანსე: „ვიცით, მასპინძლებმა ბევრი რამ დაგვიმალეს“

**დღეს, 15 სექტემბერს, ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში, ადგილობრივი დროით შვიდის ნახევარზე, უეფას თასის პირველი რაუნდის პირველ მატჩს გამართავს თბილისის „დინამო“. მისი მეტოქეა ჰოლანდიის მეხუთე გუნდი „ვილემ-II“, რომლის შესახებაც „ლელომ“ მკითხველს უკვე მიაწოდა დაწვრილებითი ინფორმაცია.**

დინამოელები ჰოლანდიას 12 აგვისტოს გაემგზავრნენ: ფრანკფურტამდე ოთხსაათიანი ფრენის შემდეგ, ტილბურგამდე ავტობუსით კიდევ 5 საათი იარეს. ცხადია, ფეხბურთელებს დასვენება სჭირდებათ, ამიტომ იმავე საღამოს „ვილემ-II .— როტერდამის „სპარტას“ ჰოლანდიის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩს მხოლოდ თბილისელთა მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა დაესწრო, ხოლო ბიჭები პირდაპირ სასტუმრო „ფებერჟე და ბონეურში“ გაეშურნენ. 13 აგვისტოს დინამოელებმა დილით და საღამოს მსუბუქად ივარჯიშეს, ხოლო გუშინ, მატჩის წინა დღეს, საღამოს „ვილემ-II-ის სტადიონის საფარიც დააჭაშნიკეს. ვარჯიშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მურთაზ ხურცილავამ მაღალი შეფასება მისცა ტილბურგელთა გუნდის სტადიონის საფარს — ასეთ მინდორზე თამაში დიდი სიამოვნებააო. თბილისელთა მწვრთნელზე „ვილემ“-II-ის გუნდმა, თურმე, სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. წინა შეხვედრებთან განსხვავებით, ტილბურგელებმა „მეტად განსხვავებული ფეხბურთი ითამაშეს, რამაც დამაფიქრა. ძალიან შეკრული გუნდია და ეს ტანმაღალი ბიჭები ფეხზე კარგად დგანან“.

ხურცილავას თქმით, მატჩში ტრავმირებული რატი ალექსიძის მონაწილეობა პრობლემატურია, თუმცა გუნდის ექიმი ზაქრო თელია ყველაფერს ხმარობს, რათა ფეხბურთელი მწყობრში ჩააყენოს.

ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის ანა პაულოვნაჰოვის ქუჩა 8-ში მდებარე ფანკლუბში პრესკონფერენცია გამართა „ვილემ-II“-ის მთავარმა მწვრთნელმა ქო ადრიაანსემ და მისმა ასისტენტმა ჰანს ფერელმაც. მომავალი მატჩის მეტოქეების შანსები მათ 50/50-ზე შეაფასეს. ქო ადრიაანსე: „რამდენიმე დღის წინათ, საქართველოში გავაგზავნეთ ჩვენი მწვრთნელები, რომლებმაც „საქმეში“ ნახეს „დინამო“. ეს ძლიერი გუნდია, თუმცა, ვიცით ბევრი რამ მაშინ მასპინძლებმა დაგვიმალეს და ის შემადგენლობა არ გამოიყვანეს, რასაც 15-ში ჩვენს წინააღმდეგ ათამაშებენ. ამისათვის მზად ვართ და დამუშავებული გვაქვს სამოქმედო გეგმა. მთავარია, ჩვენმა ფეხბურთელებმა ზედმიწევნით ზუსტად შეასრულონ მწვრთნელთა მითითებები“.

**რამაზ ბაგრატიშვილი,**
(ტილბურგი, ფაქსით), „ლელოს“ კორ.

---

## ვგმობთ თავისუფალ პრესაზე ტერორს

*ის, რაც ამ დღეებში თავს გადახდა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მთავარ რედაქტორს, პოეტ ლაშა ნადარეიშვილს და რედაქციის თანამშრომელს დავით ოქროპირიძეს, მიგვაჩნია არა მხოლოდ ერთი გაზეთისა და მისი წარმომადგენლების, არამედ მთლიანად ჩვენი ქვეყნის თავისუფალი მასმედიის წინააღმდეგ მიმართულ ტერორად, რადგან ეს აქტი, შესაძლებელია სხვათა დასაშინებლადაც იყო მიმართული. დემოკრატიის მოხრჩობა-მოკვდინება, მისი უპირველესი დასაყრდენით, თავისუფალი პრესის ალაგმვით იწყება მეტწილად.*

*თანადგომას და თანაგრძნობას ვუცხადებთ ჩვენ კოლეგებს და, იმედს ვიტოვებთ, რომ ეს უბადრუკი აქცია უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს საქართველოს მასმედიას დემოკრატიის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.*

*გაზეთ „ლელოს“ რედაქცია*

---

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი

VI ტური

## დერბისა რა მოგახსენოთ...

არსენალი (თბილისი) – ლოკომოტივი (თბილისი) 0-0

***არსენალი:*** **ჩლაიძე, ლაცაბიძე, ცერცვაძე, გველესიანი, გემეზაშვილი (თევზაძე, 64), მაისურაძე, ყოლბაია, ლომიძე, კაპანაძე (ხოსროშვილი, 46), კაკაშვილი (სულაძე, 80), ტარიელაშვილი.**

***ლოკომოტივი:*** **ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, კაციაშვილი, თარხნიშვილი, კვიტატიანი (მ.მინდიაშვილი, 78), მარღიშვილი, მელქაძე, დაუშვილი (ქორიძე, 63), გოდერძიშვილი, ღუდუშაური (ნ.მინდიაშვილი, 34).**

***გააფრთხილეს:*** **გველესიანი, კაპანაძე, თარხნიშვილი, ბალაშვილი.**

***მსაჯი:*** **ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი)**

დიახ, დერბისა რა მოგახსენოთ, მაგრამ უშეღავათო, დაძაბული ბრძოლა რკინიგზელებსა და არმიელებს ნაღდად გამოუვიდათ. თანაც ისეთი, რომ შეხვედრის შედეგი საფინალო სასტვენამდე გაურკვეველი იყო.

თეიმურ შახარაძემ თავისი ხელი „ლოკომოტივს“ ჯერ კიდევ მეცხრე ეროვნულში დაატყო, როცა გუნდი პირველ წრეში რამდენიმე ტურის შემდეგ ჩაიბარა. მისი რეკომენდაციით „ლოკომოტივმა“ ისეთი ფეხბურთელები შეიძინა, რომლებიც გუნდს მართლაც რომ გამოადგნენ – ექსგორელებმა ბალაშვილმა, თარხნიშვილმა და მარღიშვილმა საგრძნობლად გააძლიერეს რკინიგზელთა კლუბი, ექსმარგვეთელი კაციშვილი კი მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა მარჯვენა ფლანგზე. „არსენალი“ შეხვედრის ფავორიტს პირველ წუთებიდანვე მედგრად დაუდგა, ხისტ და აგრესიულ ბრძოლაში არაფერს უთმობდა მეტოქეს, ტექნიკისა და გამოცდილების მხრივ სტუმრები ეპიზოდურად თუ ჯაბნიდნენ პირველი ჯგუფის დებიუტანტს. ორმხრივი მწვავე იერიშების შემდეგ პირველი ტაიმის მიწურულს უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და რამდენიმე ხიფათიც შეუქმნეს ჯანელიძის კარს. ყველაზე ხელსაყრელი მომენტი გემეზაშვილს ჰქონდა, რომელსაც კაკაშვილმა ისე კარგი გადაცემა შეუსრულა, რომ ზედ საჯარიმოს ხაზთან უმეთვალყურეოდ აღმოჩნდა, მაგრამ უძლური ცაციით მცირედით ააცილა „ლოკომოტივის“ კარს (ჯანელიძემ მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს).

მეორე ტაიმში სტუმრებმა ბურთი „დაუმალეს“ „არსენალს“, კარგად დირიჟორობენ გუნდს მელქაძე და განსაკუთრებით მარღიშვილი, მაგრამ „არსენალი“ გუშინ ისე იყო შეკრული და მობილიზებული, რომ გაუძლო მეტოქის შტურმისმაგვარს – „ლოკომოტივმა“ მხოლოდ ერთი რეალური საგოლე მომენტი შექმნა, როცა მელქაძის ზუსტი პასით გოდერძიშვილმა 7-8 მეტრიდან ააცილა ჩლაიძის კარს. მატჩის მიწურულს კი უკვე მასპინძლებს – სულაძეს და ტარიელაშვილს შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ... გაიმარჯვა მშვიდობამ.

დათო თავართქილაძე

### სხვა მატჩები

დილა (გორი) – დინამო (ბათუმი) 0-1
სამგურალი (წყალტუბო) – ოდიში (ზუგდიდი) 1-0
დინამო (თბილისი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) – გადაიდო
გორდა (რუსთავი) – სიონი (ბოლნისი) 3-1
ტორპედო (ქუთაისი) – იბერია (სამტრედია) 4-0
გურია (ლანჩხუთი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 2-0
მერანი-91 (თბილისი) – თსუ 1-0
არსენალი (თბილისი) – ლოკომოტივი (თბილისი) 0-0

### გათამაშების ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ.(-) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 4 | 1 | 0 | 17-6 | 13(-2) |
| დინამო (თბ) | 4 | 4 | 0 | 0 | 21-4 | 12(-0) |
| ლოკომოტივი | 6 | 3 | 3 | 0 | 8-3 | 12(-6) |
| დილა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-5 | 10(-8) |
| იბერია | 6 | 3 | 0 | 3 | 12-14 | 9(-9) |
| მერანი-91 | 6 | 2 | 3 | 1 | 7-7 | 9(-9) |
| დინამო (ბთ.) | 6 | 2 | 2 | 2 | 10-8 | 8(-10) |
| კოლხეთი-1913 | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7(-8) |
| ვიტ-ჯორჯია | 6 | 2 | 1 | 3 | 6-6 | 7(-11) |
| გურია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7(-11) |
| სამგურალი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-9 | 7(-11) |
| ოდიში | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6(-9) |
| არსენალი | 6 | 1 | 3 | 2 | 4-10 | 6(-12) |
| გორდა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5(-10) |
| სიონი | 6 | 1 | 1 | 4 | 9-19 | 4(-14) |
| თსუ | 6 | 1 | 0 | 5 | 3-10 | 3(-15) |



## ...ახლა კი „ბარსელონა“

*ეჭვი არ იყო, რომ ჩვენი ვაჟი ხელბურთელები – საქართველოს უნივერსიტეტის გუნდი „შევარდენი“ დაჯაბნიდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის „ბორაცს“ ტრავნიკიდან. საქმე ისაა, რომ თბილისელებმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების წინასწარი ტურნირის პირველ მატჩში ფრედ (24:24) ითამაშეს მეტოქის მოედანზე და ახლა კარგი შანსი ეძლეოდათ ამ პრესტიჟულ ტურნირში ბრძოლის გაგრძელებისათვის. სხვათა შორის, ამას სტუმრებიც არ მალავდნენ.*

*სპორტის სასახლეში კვირის მატჩზე ხელბურთის ყველაზე ერთგული ქომაგები შეიკრიბნენ.*

*შევარდნელებმა შეხვედრის პირველი წუთებიდანვე „გამოაჩინეს ეშვები“ – გუნდის კაპიტანმა გელაშვილმა და ანდრიაშვილმა ზუსტი ტყორცნებით ორ-ორჯერ აიღეს მეტოქის კარი, მერე კი ანდრიაშვილმა გაზარდა ანგარიში – 5:0. მართალია, ამის შემდეგ ბატოვიჩმა მოახერხა საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ მასპინძელთა იერიშები სულ უფრო მწვავე ხდებოდა. ამ დროს თავი გამოიჩინეს დათუკაშვილმა და კეკელიძემ, რომლებიც ბურთს ბურთზე აგზავნიდნენ სტუმართა ბადეში. საპასუხო შეტევებს კარგად იგერიებდა ჩვენი მეკარე ერაძე.*

*ტაიმის მეორე ნახევარში მასპინძლებმა რამდენადმე მოასუსტეს „აგრესიულობა“, რამაც სტუმრებს საშუალება მისცა შეემცირებინათ სხვაობა ანგარიშში, ხოლო ბასტომ მინიმუმამდე დაიყვანა იგი – 8:9. ამის შემდეგ სტუდენტებმა მოუმატეს თამაშის ტემპს, უფრო მრავალფეროვნად და სწრაფად წარმართეს კომბინაციები და დათუკაშვილმა (ორჯერ), გელაშვილმა და კეკელიძემ შედეგიანი სროლები განახორციელეს.*

*14:8 – ასე, ექვსი ბურთის სხვაობით, დამთავრდა პირველი ნახევარი.*

*შესვენების შემდეგ ქართველ ხელბურთელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო. სტუმართა მეკარე სმაილოვიჩს ზედიზედ გამოჰქონდა*

*იხ. მე-2 გვ.*

---

## სიდნეი მასპინძლობის თადარიგს შეუდგა

სიდნეიში კარგა ხანია მუშაობს 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი, მაგრამ დადგა დრო, თამაშების მასპინძლებმა მიიწვიონ ძონაწილე ქვეყნების ეროვნული ... ბის ქვეყნების წარმომადგენლები, რათა ერთობლივად განიხილონ და შეათანხმონ მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები. ცხადია, წარმომადგენლებს ჯგუფებად იწვევენ და ერთ ასეთ ჯგუფში სულ მალე, ოქტომბრის პირველ ნახევარში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილია მიწვეული.

– კარგია, რომ ასეთ დროს მიწევს სიდნეიში ჩასვლა, იქაურ სპორტულ ბაზებზე უკვე იმართება მსოფლიო პირველობები და ერთი მათგანია ბატუტისტთა ასპარეზობა, რომელშიაც ჩვენი რუსუდან ხოფერიაც გამოვა. ასე რომ, შესაძლებლობა მომეცემა გვერდში ვედგე ჩვენს სახელოვან სპორტსმენს – უთხრა სააგენტო „ბუმათეს“ კორესპონდენტს ემზარ ზენაიშვილმა.

„ბუმათე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სპეციალისტი — ბიზნესმენებს!**

# ირაკლი ჯაფარიძე – მინდა იცოდეთ, ციგურაობა გარანტირებული ბიზნესია

როგორც სპეციალისტები ამბობენ, მსოფლიოში არ მოიპოვება სხვა ქვეყანა, რომელსაც ისეთ ჯუჯა საციგურაოზე, როგორიც ჩვენს დედაქალაქშია, მართლაც „გოლიათი" ფიგურისტები იზრდებოდნენ. ისე, ოსტატობის ასამაღლებლად ქართველები ხან სად მიდიან და ხან სად. ამჯერად ეროვნული ნაკრები ვეტერანი მოციგურავისა და მთავარი მწვრთნელის ირაკლი ჯაფარიძის ხელმძღვანელობით შეკრებაზე იმყოფებოდა ბულგარეთში. ირაკლიმ სამი წელიწადი იმუშავა ამ ქვეყანაში და უკვე, რაკიღა შინაურად თვლიან, მეგობრებმა სიამოვნებით გაუმართეს ხელი.

— ჩინებული პირობები შეგვიქმნეს სოფიის „სლავიას" საციგურაო კომპლექსის თანამშრომლებმა, თანაც მოგვემსახურნენ შეღავათიან ფასებში — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს ირაკლი ჯაფარიძემ.

● ***თბილისის არენისგან განსხვავებით, სტანდარტულ მოედანზე ვარჯიში, ჩვენებს, ალბათ, ეხამუშათ კიდეც...***

— ამას უკვე შევეჩვიეთ. პატარა მოედანზე ილეთების სრულყოფა და შემდეგ დიდ ყინულზე მისი დემონსტრირება, თქვენ წარმოიდგინეთ, სულაც არ არის ძნელი. მით უფრო, რომ შინ ფიზიკურად კარგად მოვემზადეთ — სოფიამდე ბაკურიანში ვიყავით 20 დღე, ვვარჯიშობდით საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

● ***შეკრებებისთვის სახსრები რომ გიშოვნიათ დიდი საქმეა, ვინ დაგეხმარათ?***

— სპორტის დეპარტამენტი და ჩვენი, ფედერაციის პრეზიდენტი წარსულში ცნობილი მოციგურავე მიხეილ სიხარულიძე. დაგვეხმარა ტურისტული ფირმა „გალა-ტური", რომლის პრეზიდენტის ბადრი ახალაძის დიდად მადლობელი ვართ.

● ***ირაკლი, თქვენ ჩვენი ფიგურული ციგურაობის სკოლის დირექტორიც ხართ, რა ყოფაშია დღეს არენა?***

— ალბათ გაგიკვირდებათ, შარშან და წლეულს შეუფერხებლად ვმუშაობთ, რაშიაც ბევრ კეთილ ადამიანს მიუძღვის წვლილი. მართალია, მოედანი პატარაა, მაგრამ ვისაც გულით



ირაკლი ჯაფარიძე

უნდა მუშაობა, აქაც შეიძლება შედეგის მიღწევა.

● ***ვის ბალანსზეა სკოლა?***

— ისევ თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველო გვპატრონობს, მერია, პირადად სამმართველოს უფროსი ზაზა მარუაშვილი ძალიან გვეხმარება.

● ***შედეგი?***

— რას გულისხმობთ, სპორტულს?

● ***სპორტულზე მერე ვთქვათ, კონტიგენტი თუ გყავთ, დღეს ხომ ცხოვრება ასე ჭირს...***

— გულახდილად რომ გითხრათ, ციგურაობამ თბილისში კვლავ დაიბრუნა ძველი პოპულარობა, მოჰყავთ ბავშვები, არიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთ პატარებთან ერთად, უბრალოდ, ჯანმრთელობისათვის სურთ დადგნენ ციგურებზე. ეს დიდი საქმეა — შესაძლებლობა გვეძლევა შემდეგ სპორტისთვის შევარჩიოთ საუკეთესო მოზარდები. მასობრიობიდან რჩეულები, რჩეულებიდან შედეგი — აი, რა არის დღეს ჩვენი ამოცანა.

● ***რით გამოირჩევიან ჩვენი მოზარდები სხვა თანატოლებისაგან?***

— ჩვენთან, ტრადიციულად, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქორეოგრაფიას, აკრობატიკას, საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას. ეს, ასე ვთქვათ, კომბინირებული მომზადება აუცილებელია მოციგურავისთვის. იქ, სადაც დიდი არენა და საუკეთესო პირობები აქვთ, მეტ ყურადღებას უთმობენ მომზადებას ყინულზე. სხვათა შორის, სოფიაში ჩვენთან მოდიოდნენ სპეციალისტები, მოსწონდათ ჩვენი ვარჯიშები, გამოცდილებაც გავუზიარეთ.

● ***საერთაშორისო ფედერაცია თუ გეხმარებათ?***

— შეკრებების ჩატარებაში მათი წვლილიცაა, მაგრამ მეტი დახმარების იმედი გვაქვს. ერთ თვეში ჩვენთან ჩამოსვლა აქვს დაგეგმილი საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ტაპ ოტავიოს, ვფიქრობ, ბევრი რამ აქაც გაირკვევა სამომავლოდ.

● ***საერთოდ, როგორი ხელმძღვანელია?***

— ჩინებული. ამ კაცმა რევოლუცია მოახდინა ფიგურულ ციგურაობაში, ფულითაც ეხმარება განვითარებად ქვეყნებს. მოზრდილების გარდა, ახლა მან იუნიორებშიც შემოიღო გრან-პრის ეტაპობრივი გათამაშება. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენთანაც დიდი სიამოვნებით ჩაატარებდნენ ერთ-ერთ ეტაპს, მოზრდილი, სტანდარტული მოედანი რომ გვქონდეს. აქვე დავძენ, თუ ვინმე ფულს ჩადებს და ასეთი არენა აიგება, მერწმუნეთ, დანახარჯი მალე ანაზღაურდება. ასეთი ბაზები მუდმივ და გარანტირებულ შემოსავალს იძლევა. ასე რომ, სახეირო ბიზნესია...

ესაუბრა
თენგიზ გაჩეჩილაძე

**მხატვრული ტანვარჯიში** **გრან-პრი**

## მაყურებლის რჩეული – რუსთაველი ინგა თავდიშვილი




მხატვრულ ტანვარჯიშში წმინდა სპორტული შედეგის გარდა, დიდად ფასობს ჰარმონიულობა, მოქნილობა, მომხიბლაობა — საერთოდ, უმაღლეს ხელოვნებამდე აყვანილი გრაცია. ამიტომაც, ხშირად ჟურნალისტები იმდენ ყურადღებას აქ ჩემპიონებს და პრიზიორებს არ უთმობენ, როგორც თუნდაც უმედლოდ დარჩენილ, მაგრამ მაყურებლის სიმპათიასა და რჩეულს. სწორედ ასეთი პატივი მიაგო თურმე ჰოლანდიის პრესამ ქართველ ტანმოვარჯიშეს, რუსთაველ ინგა თავდიშვილს. ასპარეზობაში 31 ქვეყნის №1 სპორტსმენები მონაწილეობდნენ. საბოლოოდ კი საპრიზო ადგილები მათგან 12-მა რჩეულმა გაინაწილა. ინგა მე-8 იყო სახტუნელათი და გურზებით ვარჯიშში, ლენტით ასპარეზობაში მე-9 ადგილზე დარჩა, რგოლით ვარჯიშში კი იარაღი ხელიდან გაუსხლტა და მე-12 ადგილს დასჯერდა. დავძენთ, რომ ეს სპორტსმენი, მისი მწვრთნელი ლანა ლონდარიძე და ერთი მსაჯი ჰოლანდიაში რუსთავმა მიავლინა.

ირინე სიდამონიძე

## ...ახლა კი „ბარსელონა"



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

(ცირველი გვერდიდან)

ბურთები ბადიდან. 16:8, 18:9, 21:11 – სხვაობა ანგარიშში სწრაფად იზრდებოდა. ხშირ-ხშირად ბურთები უფრო გადიოდა ცენტრიდან თუ ფლანგებიდან, ადგილიდან სწრაფი „მოწყვეტის" შემდეგ. მეტოქეს დაბნეულობა დაეტყო, ფსიქოლოგიურად იგი უკვე დამარცხებული გახლდათ. მხოლოდ 38 წლის ვეტერანი, გუნდის კაპიტანი სკანდრო თუ განაგრძობდა სტუმართაგან აქტიურ ბრძოლას. მაგრამ, მოგეხსენებათ, ეულად „ომს" ვერ მოიგებ...

ჩვენი გუნდის გამარჯვება უკვე საკსებით გარანტირებული იყო და მთავარმა მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ მოედანზე რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე შეიყვანა, მათ შორის, სათადარიგო მეკარე თევზაძე. ყოველივე ამან ვერ უშველა „ბორაცს", ანგარიშით 34:22 გაიმარჯვა თბილისის „სტუ-შევარდენმა". იგი ასპარეზობას განაგრძობს საპატიო თასისათვის.

ამ დღეს ყველაზე მეტი გოლი ჩვენი გუნდიდან დათუკაშვილმა გაიტანა – 10, სტუმართაგან საუკეთესო იყო რეზდეუსკი – 7 ბურთი.

ახლა ქართველ ხელბურთელებს გაცილებით უფრო ძლიერი მეტოქე ელით – ესპანეთის „ბარსელონა". მოგეხსენებათ, ეს არის ევროპის ჩემპიონთა თასისის ექვსგზის მფლობელი. „ბარსა" დღესაც ფლობს ამ თასს. მატჩები გაიმართება მომავალ თვეში: 3, 4 ან 5 ოქტომბერს ბარსელონაში, 15, 16 ან 17 ოქტომბერს კი – თბილისში. წაგებული ეთიშება ასპარეზობას.

გთავაზობთ კვირის მატჩში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს.

**„სტუ-შევარდენი": ერაძე (თევზაძე), ქობულაშვილი, ყიფიანი, კეკელიძე, გვაზავა, მეიფარიანი, ანდრიაშვილი, ლობჟანიძე, დათუკაშვილი, გელაშვილი, ორჯონიკიძე.**

**„ბორაცი": სმაილოვიჩი, სკანდრო, მიდიჩი, ბოსტო, ბეგოვიჩი, გარიჩი, ჟერიჩი, რეზდეუსკი, ბატოვიჩი, ალიჩი, სარიჩი, კარადიჩი (მწვრთნელი – ზამირ მასლიჩი).**

*მსაჯები – იგორ იუდჩიცი და სერგეი კოტი (ორივე – ბელარუსი).*

*იგფ-ს კომისარი კენან სივრიკია (თურქეთი).*

დიმიტრი ჩუბინიძე

***მთავარი მწვრთნელის ზაზა დოლიძის კომენტარი:*** *ვულოცავ ყველას ამ გამარჯვებას, ძალიან გვინდა, რომ ეს იყოს მომავალი წარმატებების საწინდარი. მადლობა მეტოქე გუნდს კორექტული თამაშისათვის და მსაჯებს ობიექტურობისათვის. მადლობა მინდა ასევე ვუთხრა ყველას, ვინც დაგვეხმარა, რათა ერთი წლის შემდეგ, კვლავ დავბრუნებოდით საერთაშორისო არენას. ეს ეტაპი წარმატებით გავიარეთ, მაგრამ არის რეალური საშიშროება, რომ საერთაშორისო ფედერაციამ არ დაგვიშვას გათამაშებაზე იმ მიზეზით, რომ ჩვენს სპორტის სასახლეში იატაკია შესაკეთებელი. იმედია, დედაქალაქის მერია გულთან ახლოს მიიტანს ამ საკითხს და მხარს დაგვიჭერს. ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი სრულუფლებიანობა რეალურად გვესახება და ეს შანსი არ უნდა გავუშვათ ხელიდან.*

**ძმობის 26 საუკუნე**

## ქართული სპორტი, ქართველი ებრაელები

26-საუკუნოვანი ისტორია აქვს ქართველთა და ებრაელთა ძმობას. არ გვეგულება საქართველოში ქალაქი, სადაც ერთ ქუჩაზე ერთ ეზოში გვერდი-გვერდ არ ცხოვრობდნენ ქართველები და ებრაელები. რა გასაკვირია, რომ ისინი საკმაოდ ხშირად გამოდიან ერთად სპორტულ ასპარეზზე და ჩვენი მიწა-წყლის ღირსებას იცავენ წარმატებით. არაერთი ნიჭიერი ებრაელი სპორტსმენი აღზრდილა საქართველოში, რომელთა ხსენება მუდამ სიამოვნებას გვგვრის გულშემატკივარს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? ანაზდად ჩვენ აი ამ სახელების გახსენება შევძელით (ანბანის მიხედვით): ტანმოვარჯიშე ბორის აბრამიშვილი, მოჭიდავეები რაბაი და ტოფიკ აგარონოვები, მძლეოსანი გაბრიელ ათანელაშვილი, მოჭიდავეები იური და იოსებ ალელიშვილები, მოჭიდავე ეფრემ აჭიაშვილი, მოჭიდავე მიხეილ ბაბალიკაშვილი, ფეხბურთელი ნოდარ ბაზაზაშვილი, ველოსიპედისტი (ტრეკი) მიტო ბატაშვილი, ჩოგბურთელი ვიქტორ ბაქში, მოფარიკავე იოსებ ბებერაშვილი, მორაგბე მიხეილ ბენიაშვილი, მოფარიკავეები რაფიელ და ანზორ ბინინაშვილები, მოფარიკავე ანზორ გაგულაშვილი, კალათბურთელი მიხეილ გოლდმანი, მოკრივე ალექსანდრ გოლდშტეინი, მორაგბე მიხეილ გუნდიევი, ფეხბურთელი მოსე დავარაშვილი, მოფარიკავე ზურაბ დავარაშვილი, ძალოსანი რობერტ დათიკაშვილი, მძლეოსანი დავით ეფრემაშვილი და დავით ეფრემაშვილი, მოცურავე ლევ ვეჩხაიზერი, მოჭიდავე შალვა ზონენაშვილი, მოკრივე ბორის თოფჩიშვილი, მოჭიდავე გელა თოფჩიშვილი, სპორტული ჟურნალისტი სოსო იუნაევი, ძალოსანი შალვა კაცობაშვილი, მორაგბე ალბერტ კრიხელი, საჭადრაკო კომპოზიტორი იოსებ კრიხელი, მოჭიდავე იაშა მანაშეროვი, ალპინისტი სიმონ მანაშეროვი, მძლეოსანი ანატოლი მოშიაშვილი, ნიჩბოსანი ჯემალ ნანიკაშვილი, მსაჯი ხელბურთსა და კალათბურთში ისაკ პარლაგაშვილი, მძლეოსანი ანზორ პაპისმედოვი, მოჭიდავე ეფრემ პარლაგაშვილი, მსაჯი კრივში ოთარ რაგიმოვი, მსაჯი ფეხბურთში გურამ სეფიაშვილი, მკლავჭიდელი ელი სეფიაშვილი, ველოსიპედისტი (ტრეკი) მიხეილ ყვითელაშვილი, მოჭადრაკე ლული შათაშვილი, მორაგბე ანატოლი შამელაშვილი, მოჭიდავე რაფაელ შათაშვილი, მოჭიდავე შოთა შაშუაშვილი, ძალოსანი იოსებ შივცი, მოჭიდავე ბორის ჩაჩანაშვილი, ძალოსანი იოსებ ჩაჩანაშვილი, მოკრივე რაფიელ ციციაშვილი, მოჭიდავე გოჩა ციციაშვილი, ავიამოდელისტი ზურაბ წიწუაშვილი, ჩოგბურთელი მაკა წიწუაშვილი, ძალოსანი ხაიმ ხანუქაშვილი, მოკრივე გაბრიელ ხანუქაშვილი, სპორტული ტელერადიოკომენტატორი ჯამლეთ ხუხაშვილი, მოჭიდავე იაშა მანაშეროვი, მოჭადრაკე რომან ჯინჯიხაშვილი, მოჭიდავე ოთარ ჯინჯიხაშვილი.

**თავისუფალი ჭიდაობა**
**მსოფლიო ჩემპიონატი**

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**54 კგ:** 1. ჰენსონი (აშშ), 2. აბდულაპოვი (აზერბაიჯანი), 3. მოჰამედი (ირანი). **58 კგ:** 1. დაბირი (ირანი), 2. დოქანი (თურქეთი), 3. სისაური (კანადა), **63 კგ:** 1. ბარზაკოვი (ბულგარეთი), 2. ჰაბიკენარი (ირანი), 3. კოლატი (აშშ), **69 კგ:** 1. გევორქიანი (სომხეთი), 2. ზოზიროვი (უკრაინა), 3. მსილრავი (აშშ). 5-6 ბედინეიშლი (საქართველო). **76 კგ:** 1. სარიტიევი (რუსეთი), 2. მუნეუიაე (კორეა), 3. ლეოპოლდი (გერმანია), **85 კგ:** 1. ჰეიდარი (ირანი), 2. იბრაჰიმოვი (მაკედონია), 3. რომერო (კუბა). **97 კგ.** 1. ჰაბიბი (ირანი), 2. გარმულევიჩი (პოლონეთი), 3. მაჰომედოვი (რუსეთი). 5-6 კურტანიძე. **130 კგ:** 1. როდრიგესი (კუბა), 2. ხაბენი (ირანი), 3. შემილინი (რუსეთი).

**გუნდური: 1. ირანი — 63 ქულა. 2. რუსეთი 54 — 3. აშშ-43. 4 უკრაინა — 37. 5. კორეა — 28, 6. სომხეთი — 22, 7. პოლონეთი — 22, 8. კუბა — 18. 9. გერმანია — 18. 10. თურქეთი — 15, 11. კანადა — 15, 12. მონღოლეთი — 14, 13. საქართველო — 13... სულ მონაწილეობდა 38 ქვეყანა, მედლები 25-მა დაიმსახურა.**

**მატიანე**

## ერთი ოჯახიდან ფეხბურთს ექვსი ძმა თამაშობდა

სპორტულ ოჯახებზე „ლელოს" არაერთხელ გამოუქვეყნებია მკითხველისთვის საინტერესო მასალა, მათ შორის ძმებ ფეხბურთელებზე. რედაქციის არქივში აღმოჩნდა ერთი ფოტოსურათი, რომელიც ადრე მოგვაწოდა ამირან ჩიტაიამ). ფოტოზე აღბეჭდილნი არიან ერთი ოჯახის ხუთი ძმა (მეექვსე, ალექსანდრე, მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა, დანარჩენი შინ დაბრუნდა).

იოსებ და ოლ... ჩიტაიების ოჯახში ექვსი ვაჟი აღიზარდა და ექვსივე ფეხბურთით იყო გატაცებული — ამირანი სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა და მსაჯია ფეხბურთში, ბორისი მინსკის „დინამოში" გამოდიოდა, პავლე ტაქსო-მოტორების გუნდის წევრი იყო, პაატა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, იროდიონი (დუდიკა) „სპარტაკის" და „ოდოს" ღირსებას იცავდა, ალექსანდრე რუსეთის ერთ-ერთ გუნდში



(მითითებულია „სპარტაკი", მაგრამ ქალაქი არ იკითხება) თამაშობდა.

**სურათზე: მარცხნიდან — ალექსანდრე, (დაბადებული 1924 წელს) პაატა (1921), ამირან (1916), პავლე (1918), ბორის (1917), იროდიონ (1924) ჩიტაიები, მშობლებთან ერთად.**

# სპორტის პროგრესი — სტრუქტურების გზით!

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი სპორტული საზოგადოებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია სრული წარმოდგენა იქონიოს საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების, მათ შორის, რასაკვირველია, ევროპის სტრუქტურებზე, ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეეხება ურთიერთობებს ხელისუფლებას, საზოგადოებრივ ძალაუფლებასა და სპორტულ ორგანიზაციებს შორის. ნაყოფიერი სპორტული პოლიტიკის გატარება შეუძლებელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. აუცილებელია სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა სპორტულ ორგანიზაციებთან, ცხადია, უკეთესი იქნებოდა, თუ სახელმწიფო და სპორტული ორგანიზაციების თანამშრომლობა მოექცეოდა სწორად განაწილებული ვალდებულებების ფარგლებში. აუცილებელია, სპორტის ავტონომიას გააჩნდეს აგრეთვე დემოკრატიის პრინციპებისადმი სრული ერთგულება.

ქვემოთ გთავაზობთ საერთაშორისო და ევროპის სპორტის მმართველი ორგანოების ურთიერთკავშირის

## საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები




საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკი) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკი) წევრია 1993 წლიდან. 1996 წლიდან სეოკი აგრეთვე გაწევრიანდა ევროპის არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციაში (ეასსო). სეოკი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის ევროპის კომისიის №10 გენერალურ დირექტორატთან, რომელიც ევროპის სპორტს კურირებს ევროსაბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტთან. აქვე ვიტყვით, რომ სეოკს ჯერჯერობით არ მიუღია მონაწილეობა ევროპის სპორტულ კონფერენციაში (ესკ), რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება და განსაზღვრავს ევროპული სპორტის პოლიტიკას. ბოლო, რიგით მე-13 კონფერენცია ჩატარდა შარშან ქ. ამსტერდამში. ასევე საქართველოს ეროვნული ფედერაციებიდან წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა შარშან ქ. დიუსბურგში საერთაშორისო სპორტული ფედერაციების გენერალურ ასამბლეაში (სსფგა).

„ლელოს" ფურცლებზე, ამას წინათ, მკითხველი გაეცნო პუბლიკაციებს ევროპის ქვეყნებში სპორტის სფეროში მმართველობის ფორმის, დაქვემდებარების, სტატუსისა და დაფინანსების წყაროების თაობაზე. ქვემოთ გაეცნობით ორი ქვეყნის, კერძოდ, გერმანიის და ნორვეგიის სპორტის თვითმმართველობის სქემას და სპორტთან დაკავშირებული არასამთავრობო მმართველობით ორგანოებს, მათ ფინანსურ ბიუჯეტს, შემოსავლებს, ხარჯებს 1996-97 წლების მიხედვით. ცხადია, მათი გამოცდილების განზოგადება ყველა ქვეყანაში არ შეიძლება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ევროპის უმეტეს ქვეყნებში სპორტის „ქოლგა" ორგანიზაციებად ითვლება არასამთავრობო სპორტული საზოგადოებრივი ორგანიზაციები (კონფედერაცია, კავშირი და ა.შ.), ან მისი ერთობლივი კავშირი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან (ასოციაცია, კავშირი და ა.შ.). მაგალითად, 1993 წლიდან სპორტული კონფედერაციის და ოლიმპიურ კომიტეტთა „ქორწინება" განხორციელდა ჰოლანდიაში, დანიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ისლანდიაში. არის გამონაკლისებიც, იტალიაში სპორტი მთლიანად კონცენტრირებულია ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში.

## ნორვეგიის ოლიმპიური კომიტეტი და სპორტის კონფედერაცია (მოსახლეობა — 5 მილიონი)




## ორგანიზაციული სტრუქტურა




## ნორვეგიის ოლიმპიური კომიტეტის შემოსავლები

1. სამთავრობო დახმარება მართვის სახსრებისთვის 250 მილიონი კრონი (40 მილიონი აშშ დოლარი) ამ თანხაში შედის ანტიდოპინგური ხარჯები — 2,5%
2. სამთავრობო დახმარება ინვესტიციებისთვის 250 მილიონი კრონი (40 მლნ. $) 2,5%
3. რეგიონალური საზოგადოებრივი ფონდები
500 მილიონი კრონი (80 მლნ. $) 5%
4. სპონსორთა ინსტიტუტი
500 მილიონი კრონი (80 მლნ. $) 5%
5. სპორტული მოძრაობის საკუთარი შემოსავლები 4.500 მილიონი კრონი (700 მლნ. $) 45%
6. ერთობლივი და საზოგადოებრივი ღონისძიებებიდან 4.000 მილიონი კრონი (620 მლნ. $) — 40%

ჯამი სულ: 10.000 მილიონი კრონი (1.560 მლნ. $) — 100%

იმ არასამთავრობო ორგანიზაციების გაცნობით, რომელიც ქვეყანაში სპორტის განვითარების საფუძველია, ინტერესსმოკლებული არ იქნება, მკითხველმა გააანალიზოს თითოეული რგოლის ბიუჯეტის შემოსავლების, ხარჯების, მუხლებისა და თანხების პროცენტული განაწილება.

აქვე მსურს აგრეთვე ერთი ქვეყნის, კერძოდ, დანიის მაგალითზე მოვიყვანო სპორტისათვის ფინანსური დახმარების ერთ-ერთი წყარო, ლატარიის შესაძლებლობები.

დანიის პარლამენტის გადაწყვეტილებით ეროვნული სპორტის და ლოტოს კომპანიას, 1992 წელს განესაზღვრა მისი პასუხისმგებლობით ფუნქციონირების სფეროები დანიის სათამაშო ლატარიის ბაზარზე. დანიის მოსახლეობა შეადგენს 5,5 მილიონს და ამ კომპანიის მიერ ორგანიზებული ლატარია ფლობს ბაზრის 70 %-ს, ყველა ლატარიას ემსახურება 3400 აგენტი, 170 მოსამართლე, რომელთაგან ნაწილი ნახევარ შტატში მსახურობს. საშუალოდ კვირაში ყველა გაყიდული ლატარიის ბილეთების ღირებულება შეადგენს 15 მილიონ აშშ დოლარს, რომლის 45% საპრიზო ფონდია, 16% სახელმწიფო ლიცენზიაა, 8% აგენტთა საკომისიო, 7% მართვა და საშტატო ანაზღაურება, 24% კი ნაწილდება სპორტისთვის, კულტურისთვის, ახალგაზრდობისთვის, ქველმოქმედებისთვის. იმ 24%-ის 70% ხმარდება სპორტს, ხოლო 30% დანარჩენს.

და ბოლოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სპორტული ინდუსტრია ქვეყნისთვის, ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემებიც. მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში სპორტული ინდუსტრიის ხვედრითი წილი 3%-ია. წლიურად სპორტულ გლობალურ ბიზნესზე მოდის სპონსორული 15 მილიარდი აშშ დოლარი, 42 მილიარდი სატელევიზიო უფლებებისა და 50 მილიარდი სპორტულ ღონისძიებებზე ბილეთების გაყიდვით. თანხები გეოგრაფიულად ასე ნაწილდება: აშშ — 42%, ევროპა — 36%, დანარჩენი მსოფლიო — 22%. ევროპაში ქვეყნების მიხედვით: გერმანია 30%, დიდი ბრიტანეთი 22%, იტალია 17%, საფრანგეთი 15%, დანარჩენი ევროპა 16%.

**თამაზ თევზაძე,**
სეოკის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი

## გერმანიის სპორტის თვითმმართველობა (მოსახლეობა — 82 მილიონი)




## გერმანიის არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციები

**I — გერმანიის სპორტული კონფედერაცია (DSB)**

**რეგულარული ბიუჯეტი** — 8.242. 585 ეკიუ

***შემოსავლები:*** საწევროები 25%, საკუთრება 17,3%, ლატარია 51,3%, სხვა შემოსავალი 6,4%.

***ხარჯები:*** შტატი 55,9%, წევრი ორგანიზაციების დახმარება (მასობრივი სპორტის კომპანიისთვის) 17,3%, ადმინისტრაცია 11,4%, სუბსიდიები (მაგ. ახალგაზრდობის სპორტი) 8,1%. საპატიო ხელმძღვანელთა ხარჯები 4,3%

**საპროექტო ბიუჯეტი** — 15.608.040 ეკიუ

***შემოსავალი:*** სამთავრობო წყაროები (მაგ. შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი, აგრეთვე მიწები (მხარეები) 91%
სხვა სპეციალური შემოსავლები (მაგ. სპონსორთა თანხები) 9%.

***ხარჯები:*** სპორტის პოლიტიკა და მენეჯმენტი 2,5%, ფუნდამენტალური გამოცემები 0,3%, გამაჯანსაღებელი (აღდგენითი) სპორტი 35,6%, უმაღლესი (ელიტარული) სპორტი 10,0%, ახალგაზრდული სპორტი იხ. შემდეგი თავი — ფინანსირება და ადმინისტრაცია 51%

***ამრიგად,*** სრული ბიუჯეტი შეადგენს 23.850.675 ეკიუს, რომლის 34,56% არის რეგულარული ბიუჯეტი, ხოლო 65,44% საპროექტო ბიუჯეტი.

**II — ახალგაზრდული სპორტი (DSJ)**

**რეგულარული ბიუჯეტი** 1.032.090

***შემოსავალი:*** საწევროები, შემოწირულობები 14%, ფედერალური მთავრობის სუბსიდიები 83%, სხვა საზოგადოებრივი წყაროები 3%

***ხარჯები:*** შტატის ხელფასი 71%, ადმინისტრაცია 29%.

**საპროექტო ბიუჯეტი** 6.297.305

***შემოსავალი:*** სუბსიდიები ახალგაზრდობის, ოჯახის, ქალთა და ჯანმრთელობის ფედერალური სამინისტროებიდან 85%, საკუთარი რესურსები და სუბსიდიები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, როგორიცაა, მაგალითად გერმანიის სპორტული კონფედერაცია 4%, სუბსიდიები სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტებიდან 11%.

***ხარჯები:*** ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამები 91%, ორმხრივი პროგრამები 6%, სხვა 3%.

***ამრიგად,*** სრული ბიუჯეტი შეადგენს 7.330.205 ეკიუ.

**III — მიწის (სამხარეო) სპორტული ფედერაციები (LSB)**

მაგალითი აღებულია ბადენ-ვიუტემბერგის მიწის სპორტული ფედერაციებიდან

***შემოსავალი:*** 8.918.460 ეკიუ, საწევროები 0,6%, მიწის სუბსიდიები 98,2%, ლატარია 1%, სხვა დანარჩენი 0,2%.

***ხარჯები:*** 8.918.460 ეკიუ: შტატი 37,4%, სამგზავრო ხარჯები 4,8%, დაზღვევა, ადმინისტრაცია, საზოგადოებრივი ურთიერთობების სამსახური 1,8%, უმაღლესი (ელიტარული) სპორტი 51,8%, მასობრივი სპორტი 0,9%, ახალგაზრდობის სპორტი 0,5%, სხვა 2,8%.

**IV — ეროვნული სპორტული ფედერაციები**

**(სხვადასხვა სპორტული ფედერაციების ბიუჯეტი, ცხადია, ძირეულად განსხვავდება, აგრეთვე შემოსავლების და ხარჯების თვალსაზრისითაც)**

შემოსავლების წყაროები შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად: საკუთარი წყაროები, შემოსავლები მიღებული საკუთარი შეჯიბრებების და ღონისძიებებიდან, გრანტები, გრანტები ფედერალური ფონდებიდან მაგ. ფრენბურთის ფედერაციის ასოციაცია

***შემოსავლები:***
საწევროები: 40%, სპორტსმენთა ლიცენზია 20%, საზოგადოებიდან მოზიდული თანხები 20%, საქმიანობები, იჯარა 20%.

**V — კლუბები**

**(75.000-ზე მეტი, 25 მილიონი წევრი)**

***შემოსავალი:*** ჯამი 1,51 მილიარდი ეკიუ: საწევროები, სუბსიდიები 48,5%, სუბსიდიები სამხარეო სპორტული ფედერაციებიდან, სპორტის ხელმძღვანელი ორგანოებიდან, სამხარეო, ადგილობრივი და ფედერალური მთავრობიდან 15%, სპორტული და სოციალური ღონისძიებები 14,5%, ინვესტიციები, კლუბის რესტორნები, რეკლამა 22%.

***ხარჯები:*** ჯამი 1,58 მილიარდი ეკიუ: შტატები, ადმინისტრაცია 15%, სამხარეო სპორტული ფედერაციების და სპორტის მმართველი ორგანიზაციებისთვის გადასახადი, დაზღვევა და ბეგარა 17%, მწვრთნელთა ხელფასები, სამგზავრო ხარჯები 18%, სპორტული ტანსაცმელი, იარაღები, აღჭურვილობა, იჯარის და საამშენებლო ხარჯები სპორტული მოედნების და ნაგებობების 38%, სპორტული და სოციალური ღონისძიებები 12%

**VI — გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (NOC of GERMANY)**

***შემოსავალი:*** 1.710.785 ეკიუ: ოლიმპიური ლოგოტიპების გამოყენების საავტორო უფლება 67,3%, ლატარია 26,9%, საკუთრების წყაროები 4,1%, სადაზღვევო კონტრაქტები 1%, ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების საწევროები 0,7%.

***ხარჯები:*** 1.850.790: შტატი 47,4%, ადმინისტრაცია 35,5%, სუბსიდიები გერმანიის ოლიმპიურ საზოგადოებას და სპორტულ მუზეუმს 17,1%.

**VII — ფონდი „დახმარება გერმანიის სპორტს"**

**ბიუჯეტი** 10.233.180 ეკიუ

***შემოსავალი:*** საფოსტო მარკები 40%, ლატარია 20%, ღონისძიებები (სპორტული ბალი), გრანტები და სხვა 40%.

***ხარჯები:*** კვალიფიციურ სპორტსმენთა კომპენსაცია 90%, პროგრამა „ახალგაზრდები ვარჯიშობენ ოლიმპიური თამაშებისთვის" 5%, ადმინისტრაცია 5%.

**VIII ოლიმპიური მზადების ცენტრები (OSP)**

**ბიუჯეტი** 5.526.405 ეკიუ

***შემოსავლები:*** შინაგან საქმეთა სამინისტრო 52%, ადგილობრივი და სამხარეო სამთავრობო დახმარება, სამხარეო სპორტული ფედერაციები 26%, სპორტული დახმარების ფონდი 5%, სპონსორები და სხვა 17%

***ხარჯები:*** ადმინისტრაცია 26,2%: მედიცინა 22,4%, მეცნიერება 22,6%, ფიზიოთერაპია 19,2%, სოციალური კეთილდღეობა 9%, სპორტული ინვენტარი და მოედნები 0,6%.

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი. VI ტური

სტატისტიკის მოყვარულთათვის

**სამგურალი (წყალტუბო) – ოდიში (ზუგდიდი) 1-0**

*სამგურალი:* სტურუა, ფრანგიშვილი, გრ. თევზაძე, მ. ქობულაძე, დარსაძე, ჭელიძე, ხაჭაპურიძე, ჯინჭარაძე (ჯავახაძე, 69), ფილიპაშვილი (ფაიქიძე, 46), თევდორაძე (კ. ჯანაშია, 46), უგულავა.
*ოდიში:* ნაყოფია, ღურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, კ. კვეკვესკირი, ბარქაია, კუტალია (იოსავა, 40), მარკოზია, ტაბაღუა (თოლორაია, 60), ენდელაძე.
*გოლი:* ფაიქიძე (90, პენ.)
*გააფრთხილეს:* თევზაძე, ჭელიძე, კიპაროიძე, ღურწკაია, ფაიქიძე.
*მსაჯი:* თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

**გორდა (რუსთავი) – სიონი (ბოლნისი) 3-1**

*გორდა:* ბედენეიშვილი, ჩოხელი (ი. ხუჯაძე, 46), ბურნაძე, ბექაური, სახვაძე, ვ. კილასონია, ტარტარაშვილი (ლაბაძე, 58), ზირაქაძე, მჭედლიძე, ჩუხუა (ლ. ალადაშვილი, 89), კ. ალადაშვილი.
*გოლები:* 1-0 კილასონია (22), 2-0, 3-0, ჩუხუა (51,54), 3-1 გოგოლაძე (68).
*გააფრთხილეს:* მჭედლიძე, კ. ალადაშვილი.
*მსაჯი:* თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)

**ტორპედო (ქუთაისი) – იბერია (სამტრედია) 4-0**

*ტორპედო:* ასლანაძე, ჯინჭარაძე, ვაშაკიძე, შეყრილაძე, ჩხაიძე, კ. კვეტენაძე, თურმანიძე, ჩხეტიანი (მეტრეველი, 70), დ. ჯანაშია, იონანიძე (მეგრელაძე, 46), ვაჩიბერაძე (მაღლაკელიძე, 46),
*იბერია:* ლაბაძე, ნიკოლეიშვილი, კობესაშვილი, გეგეშიძე, ს. გიგიაძე, ამაშუკელი (ვარდიაშვილი, 70), ჩომახიძე, ხუჭუა (თოდუა, 73), ვ. გიგიაძე, გ. დარასელია (ივეჩიანი, 56), ჭელიძე.
*გოლები:* იონანიძე (40, 49 პენ., ჯანაშია (52), მეგრელაძე (90).
*გააფრთხილეს:* ნიკოლეიშვილი, დარასელია.
*მსაჯი:* გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

**დილა (გორი) – დინამო (ბათუმი) 0-1**

*დილა:* მდივანი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, სამხარაძე, გაგნიძე, მოსულიშვილი, მარეხაშვილი, ახალკაცი (ბ. ჩიტაია, 75), კაიდარაშვილი, თაყაძე, შატაკიშვილი.
*დინამო:* ტოგონიძე, პაპიძე, მინდაძე, სიჭინავა, კანტიძე, ღლონტი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, გადელია (... ზავა, 72), თორღაშვილი, რუსია.
*გოლი:* კანტიძე (80)
*გააფრთხილეს:* რუსია, გაგნიძე
*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

**გურია (ლანჩხუთი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 2-0**

*გურია:* ვარდანიძე, ფაცურია, კაკაჩია, იობიძე, ბუხრიკიძე, ზ. კვეკვესკირი, ინიაშვილი, დ. მახარაძე (პატარაია, 82), კავთელაძე (ლორია, 58), მელაძე (ჩიქვილაძე, 88), გიორგაძე.
*ვიტ-ჯორჯია:* ჭურაძე, მენთეშაშვილი, ჭანკოტაძე, მუჯირი, თ. ბოკერია (დოლიძე, 62), აბაზაძე (გოჩაშვილი, 46), ჭოხონელიძე, მაისურაძე, ნოზაძე, ენუქიძე (პეტრიაშვილი, 20), გვაზავა.
*გოლები:* გიორგაძე (27), მელაძე (86)
*გააფრთხილეს:* პეტრიაშვილი, მელაძე, ინიაშვილი, დოლიძე.
*მსაჯი:* სოსო კახიანი (თბილისი).

**მერანი-91 (თბილისი) – უნივერსიტეტი (თბილისი) 1-0**

*მერანი-91:* ლომაია, დევიძე, ასპინძელაშვილი, დავ...ძე, დანელია, გ. ...ნაძე (ბაჯელიძე, 90), გელა ქორიძე, ე. ალადაშვილი, დავითაშვილი, ...ილი, მესხი.
*თსუ:* ბათიაშვილი, ილურიძე, სვანიძე, ...ბიაშვილი, ნინუა, ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (ღუდუშაური, 82),
*გოლი:* დავითაშვილი (86),
*გააფრთხილეს:* დავითნიძე.
*მსაჯი:* მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

## ფორმულა-1: ფინელის ყოჩობას ბოლო მოეღო

ბევრს რომ ეგონა, მორჩა, ფინელი მიკა ჰაკინენი პირველობას არავის დაუთმობს, იმდენად წინ გაიჭრა, მისი დაწევა შეუძლებელიაო, მთლად ასე არ ყოფილა. სეზონის დასასრულისათვის მსოფლიო ჩემპიონატს ახლა ჰაკინენთან ერთად გერმანელი მიხაელ შუმახერიც ლიდერობს.



იტალიის დიდ პრიზზე შუმახერმა, ცუდად ...ბული სტარტის მიუხედავად, შეძლო თანდათანობით ვითარების გამოსწორება და წინ გაჭრილი მიკა ჰაკინენის, დევიდ კულჰარდის, ჟაკ ვილნევსა და ედი ორვინს დაეწია. მე-16 წრემდე, თუმცა მცირე უპირატესობით, რბოლას კულჰარდი ედგა სათავეში, მაგრამ აქ მოულოდნელი რამ მოხდა; მოსახვევში შესვლამდე ბრიტანელის მანქანამ კვამლის ბოლქვები გაუშვა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ბოლიდის ძრავა მწყობრიდან გამოვიდა. ამით კარგად ისარგებლა გერმანელმა პილოტმა და ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვია.

იტალიის დიდი პრიზი. 1. მიხაელ შუმახერი („ფერარი"), 2. ედი ირვინი („ფერარი"), 3. რალფ შუმახერი („ჯორდანი"), 4. მიკა ჰაკინენი („მაკლარენი), 5. ჟან ალეზი („ზაუბერი"). პირადი ჩათვლა 14 ეტაპის შემდეგ: 1-2. ჰაკინენი და მ. შუმახერი – 80-80 ქულა, 3. კულჰარდი – 48, 4. ირვინი – 38, 5. ვილნევი – 20. გუნდური ჩათვლა: 1. „მაკლარენი" – 128 ქულა, 2. „ფერარი" – 118, 3. „უილიამსი" – 33.

## ვერ გაიტან, გაგიტანენ...

სულიკო დავითაშვილმა მეათე ეროვნულში პირველი გოლი გაიტანა მშობლიურ „სინათლეზე", გოლი, რომელმაც „მერანს" პირველი გამარჯვება მოუტანა ამ სეზონში საკუთარ მინდორზე და რაღა გასაკვირია, რომ მან ექსპანსიურად აღნიშნა ეს – მაისური გაიხადა და სათადარიგოში მყოფ მერანელთა გოლკიპერ ნაჭყებიასაც შეახტა. ძირითადში მოთამაშე 19 წლის ლომაია კი თსუ-მ ბურთებით დაცხრილა, მაგრამ საბოლოო ჯამში ვერაფერი მოუხერხა – ჭუმბურიძე, როსტიაშვილი, სვანიძე, კაკუბავა ამაოდ გაისარჯნენ, გიორგი ლომაიას კარს იმ დღეს დალაშქვრა არ ეწერა. აღსანიშნავია, აგრეთვე, მერანელთა მეკარის დამაჯერებელი და უშეცდომო თამაში გამოსვლებზე.

თსუ-მ მეორე ტაიმში მკვეთრად მოუმატა, განსაკუთრებით ნახევარდაცვამ იძალა, მერანელთა შუახაზის ლიდერები ქორიძე და კვეტენაძე კი ცოტა არ იყოს, ინერტულად გამოიყურებოდნენ. მასპინძელთა მცველებს ყურადღება ძირითადად წიტაიშვილზე ჰქონდათ გადატანილი, ალბათ ამიტომაც „ეპარებოდათ" სხვათა გარღვევები, რაც გაბელიას ბიჭებმა ვერ შეიშვნეს და რამდენი საგოლე მომენტის გაცუდებისთვის დაისაჯნენ კიდეც.

დათო თავართქილაძე

## წყალტუბოში ქარი ქროდა

ძლიერმა ქარმა თამაშში კორექტივები შეიტანა. რაც იმ დღეს წყალტუბოს ცენტრალურ სტადიონზე ხდებოდა, ფეხბურთის გარდა ყველაფერს ჰგავდა: ფეხბურთელები მინდორზე ზანტად დასეირნობდნენ, ისე რომ, მაყურებელს, ალბათ, ძლიერი ქარი რომ არა, ძილიც კი მოერეოდა. პირველი ტაიმის შუაწელში კინაღამ სენსაცია მოხდა და ამის მთავარი მიზეზი მოთამაშეები კი არა, ისევ და ისევ ქარი იყო – მეკარე ნაყოფიას დარტყმული ბურთი თითქმის ცენტრიდან თავისივე კარისაკენ მობრუნა და ოდნავ ასცდა „ცხრიანს".

სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა – ფეხბურთელებიც „წვალობდნენ" და მაყურებელსაც აწვალებდნენ. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, მასპინძელი გუნდი მატჩის ბოლო წუთებში არარსებულ პენალტს ითხოვდა, რისთვისაც ფაიქიძემ მსაჯს ყვითელი ბარათი გამოსტყუა. იქნებ ამ „აქტიურობამ" გააბედვინა ლაცაბიძეს ბოლო წუთზე დაენიშნა 11-მეტრიანი, რომლის რეალიზაციაც ფაიქიძეს არ გასჭირვებია.

მიხეილ ქორქოლიანი,
„ლელოს" კორ. იმერეთის ზონაში.

## ხერხაძემ კარგად დაიწყო

იმერული „დერბი" ქუთაისელთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა. სტუმრები მხოლოდ სწრაფი კონტრშეტევების იმედად თუ იყვნენ, დროდადრო საქმეში მესამე ძალაც – ძლიერი ქარი ერთვებოდა და თავისი ძალის დემონსტრირებას ახდენდა.

მიუხედავად ქუთათურთა აქტივობისა, პირველი სახიფათო მომენტი, პირველი ტაიმის შუაწელში, სწორედ მათ კართან შეიქმნა: ხუჭუა-ჩომახიძის კომბინაცია კუთხურით დამთავრდა. ამას კვლავ მასპინძელთა გამუდმებული იერიშები მოჰყვა, ერთ-ერთი მათგანი შედეგიანიც გამოდგა: კვეტენაძის მარცხენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე თავით იონანიძე შეეგება 1-0.

ჯემალ ხერხაძემ, „ტორპედოს" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, როგორც ეტყობა, შესვენებაზე ფეხბურთელები სწორად დამოძღვრა – მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო, რამაც ანგარიშში ასახვა ჰპოვა.

გოგა მინდელი,
„ლელოს" კორ., ქუთაისი.

## მეორე ჯგუფი ● III ტური

**დასავლეთის ზონა, „ა" ქვეჯგუფი**

მეშახტე (ტყიბული) – მადაროელი (ჭიათურა) 5-2, დინამო (გაგრა) – რიონი (ქუთაისი) 2-0, ტორპედო-2 (ქუთაისი) – სამგურალი-2 (წყალტუბო) 0-0, რაჭა (ამბროლაური) – იბერია-2 (სამტრედია) 1-0, სულორი (ვანი) – ოკეანე (სამტრედია) 2-0, მარგვეთი (ზესტაფონი) – საირმე (ბაღდათი) 4-0, იმერეთი (ხონი) – ჩიხურა (საჩხერე) – გადაიდო.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| გაგრა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| მარგვეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 11-2 | 7 |
| სამგურალი-2 | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| ტორპედო-2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| საირმე | 3 | 1 | 1 | 1 | 1-4 | 4 |
| მეშახტე | 1 | 1 | 0 | 0 | 5-2 | 3 |
| რიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| რაჭა | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 3 |
| ოკეანე | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| მადაროელი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-7 | 2 |
| იმერეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| ჩიხურა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |
| იბერია-2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3-10 | 0 |

**დასავლეთის ზონა, „ბ" ქვეჯგუფი**

ფაზისი (ფოთი) – კოლხეთი (ხობი) 0-0, სქური (წალენჯიხა) – ბახმარო (ჩოხატაური) 5-0, სამეგრელო (ჩხოროწყუ) – ოდიში-2 (ზუგდიდი) 1-1, ეგრისი (სენაკი) – სალხინო (მარტვილი) 4-0, შუქურა (ქობულეთი) – კოლხეთი-2 (ფოთი) 5-0, ენგური (ზუგდიდი) – კოლეჯი (ბათუმი) 2-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სქური | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| ეგრისი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| სამეგრელო | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| ენგური | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| ფაზისი | 3 | 1 | 1 | 0 | 3-3 | 4 |
| შუქურა | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 3 |
| მერცხალი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| ბახმარო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-10 | 3 |
| ოდიში-2 | 3 | 0 | 2 | 1 | 4-6 | 2 |
| კოლეჯი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |
| სალხინო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |
| კოლხეთი-2 | 3 | 0 | 0 | 3 | 0-11 | 0 |

**ცენტრალური ზონა**

ლოკომოტივი (თბილისი) – ივერია (ხაშური) 1-0, დილა-2 (გორი) – ჟინერი 5-1, ვარძია (ასპინძა) – თორი (ბორჯომი) 0-2, იბერია (ქარ.) – ცხუმი (სოხუმი) 1-0, ცხინვალი – საუ (თბილისი) 4-1, იბერია (თბილისი) – მესხეთი (ახალციხე) 1-0, დინამო-2 (თბილისი) –განთიადი (კასპი) 5-0).



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო-2 | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 9 |
| ცხინვალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-3 | 9 |
| ივერია | 3 | 2 | 0 | 1 | 10-4 | 6 |
| ლოკომოტივი-2 | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| განთიადი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-8 | 6 |
| იბერია (ქარ.) | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| თორი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| საუ | 3 | 2 | 0 | 1 | 6-6 | 6 |
| იბერია (თბ.) | 3 | 2 | 0 | 1 | 5-6 | 6 |
| დილა-2 | 3 | 1 | 0 | 2 | 7-7 | 3 |
| ცხუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-9 | 0 |
| მესხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-10 | 0 |
| ჟინერი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-11 | 0 |
| ვარძია | 3 | 0 | 0 | 3 | 3-13 | 0 |

**აღმოსავლეთის ზონა**

არსენალი-2 (თბილისი) – სამგორი (გარდაბანი) 0-0, ყვარელი – მრეტები (თბილისი) 3-0, ხალიბი (რუსთავი) – ღარწყალი (ძვ. ანაგა) 0-1, უნივერსიტეტი (თბილისი) – კახეთი (თელავი) 1-1, დინამო-3 (თბილისი) – ჭაბუკიანი 1-0, ალაზანი (გურჯაანი) – ქანაგკო (3-0), ალგეთი (მარნეული) – შავნაბადა (თელეთი) 2-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ღარწყალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| ყვარელი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| არსენალი-2 | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| შავნაბადა | 3 | 2 | 0 | 1 | 8-3 | 6 |
| შსს აკადემია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| დინამო-3 | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| უნივერსიტეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| ჭაბუკიანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| ხალიბი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| ალგეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| ალაზანი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| კახეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| სამგორი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| მრეტები | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |
| ქანაგკო | 3 | 0 | 0 | 3 | 3-10 | 0 |

## ერიხ რიბეკი: „ასაკს ყურადღებას არ ვაქცევ"

ერიხ რიბეკის გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნას ამ ქვეყნის სპორტული საზოგადოება მოწონებით შეხვდა.

მანამდე განიხილეს რამდენიმე კანდიდატურა. ცივი უარი განაცხადეს ფრანც ბეკენბაუერმა და ოტო რეჰაგელმა. ოტმარ ჰითცფელდმა, რომელსაც ასევე მიმართეს წინადადებით, თქვა, რომ ეს-ეს არის გაფორმდა მისი კონტრაქტი მიუნხენის „ბაიერნთან". უფრო რეალურად მიაჩნდათ ზეპ ჰეინკესის კანდიდატურა, მაგრამ მადრიდის „რეალიდან" განთავისუფლებულმა მწვრთნელმაც თავი შეიკავა.

მაშ ასე, ერიხ რიბეკი...

იგი ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილი სპეციალისტია. დაიბადა 1937 წლის 13 ივნისს. მისი, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა რაიმე მნიშვნელოვანი მიღწევით არ აღნიშნულა – თამაშობდა მცველად „ვუპერტალსა" და კიოლნის „ვიქტორიაში", ნამდვილი მოწოდება კი ფეხბურთში მწვრთნელობა გახდა, რომელიც 28 წლის ასაკიდან დაიწყო. ჯერ ორი სეზონი მენხენგლადბახის „ბორუსიის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო. 1967-68 წლებში ესენის „როტ-ვაისს" ხელმძღვანელობდა, 1968-73 წლებში წარმატებით მუშაობდა მაინის ფრანკფურტის „აინტრაქტში", 1973-78 წლებში – „კაიზერსლაუტერნში", 1978-84 წლებში გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის მწვრთნელად დანიშნეს (ასეთი თანამდებობა 1926 წლიდან არსებობს და ნაკრებებთან მუშაობას გულისხმობს), ეხმარებოდა იუპ დერვალს, რომლის გადადგომის შემდეგ სათავეში ჩაუდგა დორტმუნდის „ბორუსიას". შემდეგ მუშაობდა ლევერკუზენის „ბაიერში", მიუნხენის „ბაიერნში", სადაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ფრანც ბეკენბაუერთან, თურქეთში.

ერიხ რიბეკმა პირველ პრეს-კონფერენციაზევე განაცხადა, რომ ნაკრების შემადგენლობაში დიდი ცვლილებების შეტანას არ აპირებს, რადგან ბერტი ფოგტსმა სათანადოდ შეარჩია ფეხბურთელები... ამავე დროს მან ნაკრებში დაუყოვნებლივ მიიწვია 37 წლის ლოთარ მათეუსი (129 მატჩი ნაკრებში!) და თქვა, რომ ასაკს ნაკრების მოთამაშისათვის რაიმე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მთავარია მზადყოფნა, მომზადების დონე. რიბეკის ამ განცხადებამ გაამხნევა ის ვეტერანები, რომელთაც ნაკრებში გამოსვლის თითქოს არავითარი იმედი აღარ ჰქონდათ. ახალ ბუნდესტრენერთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს თომას ჰესლერმა და შტეფან როიტერმა.

რიბეკის წინამორბედმა ბერტი ფოგტსმა „ჩააგდო" მსოფლიოს ორი ჩემპიონატი, მაგრამ გაიმარჯვა ევროპის 1996 წლის პირველობაზე. ახალი მწვრთნელისაგან უკეთეს შედეგებს მოელიან.

## რონა მწვრთნელი ბოდიშს იხდის

ნორვეგიელთა მწვრთნელმა ნილსიოჰან სემბმა მთელ ქვეყანას ბოდიში მოუხადა ლატვიელებთან სრულიად მოულოდნელი დამარცხებისათვის. მისი აზრით, ნორვეგიელებს, რომლებიც ავტორიტეტების რისხვად ითვლებიან, სრულიად იოლად უნდა მოეგოთ, 15 საგოლე მომენტიდან თუნდაც ნახევარი რომ გამოეყენებინათ.

საინტერესოა, რომ ნორვეგიელების წაგება საკუთარ მინდორზე სრულიად უჩვეულო მოვლენაა. ბოლოს მათ ოსლოში მოუგო (2-1) 1931 წელს დღეს უკვე არარსებულმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა.

## გაჭირვება მიჩვენე და... სფფ დახმარებას ითხოვს

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ნოდარ ანდრიაძის განცხადებით, ოქტომბერში საქართველოს ნაკრები გუნდების სრულყოფილი მომზადებისა და საერთაშორისო მატჩების მონაწილეობის მისაღებად დაახლოებით 260 ათასი დოლარია საჭირო. ეს თანხა თურმე, სფფ-ს არ გააჩნია და, ამიტომ, თუ მთავრობა არ დაეხმარა „საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობას საერთაშორისო მატჩებში საფრთხე ემუქრება".**

საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს 10 და 14 ოქტომბერს ორი გასვლითი მატჩი აქვთ გასამართავი ლატვიისა და საბერძნეთის გუნდებთან. ანდრიაძის განმარტებით, „მარტო ლეგიონერების ჩამოყვანა საერთაშორისო მატჩებზე 25-დან 30 ათას დოლარამდე ეღირება. ჩარტერული რეისი რიგაში და შემდგომ ათენში გადაფრენა 80 ათასი ლარი ღირს... დაუმატეთ ამას სასტუმროს, კვების ხარჯები, მოკლედ, ამ მატჩებში მონაწილეობა მინიმუმ 160 ათასი აშშ დოლარი გვიჯდება".

სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, ოქტომბერში 18 და 16 წლამდე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს გამართავენ უნგრეთსა და ავსტრიაში. 18-წლიანთა ვაყთა ვოიაჟი 51 ათასი ლარი, ხოლო უმცროსების – 46 ათასი ლარი ეღირება. ასეთი ხარჯების გაწევა, თუ ხელისუფლება არ დაგვეხმარა, ჩვენ არ შეგვიძლიაო, აცხადებს ანდრიაძე.

რა თქმა უნდა, ფედერაციას რომ ძალიან არ გასჭირვებოდა, იგი სახელმწიფოს დახმარებას არ სთხოვდა. მაგრამ, რაკი მოსალოდნელი ხარჯები გამოამზეურა, ეგებ ისიც ეცნობებინა გულშემატკივრებისათვის, რა თანხა შემოუვიდა წინათ გერმანიის, ბულგარეთის, ინგლისის, იტალიისა და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდების სტუმრობისას სატელევიზიო უფლებების გაყიდვით?

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ვანდერლეი საქმეს შეუდგა

„ტეტრაკამპეონები“ ახალი მთავარი მწვრთნელის, 46 წლის ლუქსემბურგო ვანდერლეის ხელმძღვანელობით პირველი ამხანაგური მატჩისათვის ემზადებიან – 26 სექტემბრეს ბრაზილიელები სან-ლუისში იუგოსლავიელებს მიიღებენ. ვანდერლეიმ უარი განაცხადა ვეტერანების – დუნგას, ტაფარელის, ბებეტოს, ალდაირისა და სეზარ სამპაიოს გამოძახებაზე. ამასთანავე მწვრთნელმა დაამშვიდა რონალდო, რობერტო კარლოსი და ჟუნიორ ბაიანო – ამჯერად არ მჭირდებით, თქვენ სხვა მატჩებისთვის გამოგიძახებთო. აი, როგორ გამოიყურება ვანდერლეის ახლანდელი 22 რჩეული: *მეკარეები* – ანდრე, რეჟერიო; *მცველები* – კაფუ, ანტონიო კარლოსი, კლებერი, სერჟინიო, კრისი, ოდვანი, ფილიპე; *ნახევარმცველები* – ემერსენო, ალეშანდრე, ვამპეტა, მარკუს ასუნსაო, როჟერიო, ალექსი, პედრინიო; *თავდამსხმელები* – მიულერი, ფაბიო ჟუნიორი, მარსელინო, კრისტიანი, დენილსონი, რივალდო.



ვანდერლეი ლუქსემბურგო

## სკუდეტოსათვის ბრძოლაში 5 ფავორიტია

***13 სექტემბერს მსოფლიოში უძლიერესი ლიგის – იტალიის სერია „A“-ს ჩემპიონატიც დაიწყო. ბრძოლაში 18 გუნდი ჩაება. შარშან, როგორც გახსოვთ, სკუდეტოსათვის ბრძოლა, ძირითადში, „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ შორის მიმდინარეობდა. მიმომხილველთა ვარაუდით, წელს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად პრეტენზიას კიდევ სამი კოლექტივი განაცხადებს – „ლაციო“, „ფიორენტინა“, „პარმა“.***

ტურინული კლუბი, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი არ განუხორციელებია, უთუოდ შეეცდება სკუდეტოს შენარჩუნებას. ცხადია, „იუვეს“ მეპატრონეები მთავარ იმედებს 23 წლის ვარსკვლავ ალესანდრო დელ პიეროზე ამყარებენ. ახლახან გამოცხადდა, რომ ფორვარდი კიდევ 3 წლით გააგრძელებს კლუბთან კონტრაქტს, რისთვისაც იგი დამატებით 15 მილიონ დოლარს მიითვლის.

რაც შეეხება „ინტერს“, სახელგანთქმულ რონალდოს იქ პარტნიორობას „ბოლონიადან“ გასული რობერტო ბაჯო გაუწევს. ასე რომ, მილანური კლუბის წლევანდელი ამბიციები საკმაოდ საფუძვლიანი გვეჩვენება.

რომის „ლაციო“, „ინტერისა“ არ იყოს, აქცენტს შემტევ თამაშზე გააკეთებს, მისი თავდასხმის ხაზი ხომ ერთ-ერთი უძლიერესია – სალასი-ვიერის დუეტი ნებისმიერი გუნდისთვის სანატრელი ტანდემია. მას ზურგს გაუმაგრებენ ფუზერი, მანჩინი და რა თქმა უნდა, ესპანელი ივან დე ლა პენია.

შარშანდელი სეზონის მიწურულს, როცა ხმა დაირხა, „ფიორენტინას“ მისი მთავარი დამრტყმელი ძალა, არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა ტოვებსო, ბევრმა მიიჩნია, რომ ფლორენციული კლუბი ამიერიდან მაღალი ადგილებისთვის ველარ იბრძოლებდა. და აი, ამ რამდენიმე ხნის წინათ, საბოლოოდ გადაწყდა, რომ „ბატი-გოლმა“ გუნდს ვერ უღალატა და კიდევ ერთი სეზონს დარჩება იქ. ეს იმას ნიშნავს, რომ ფლორენციული კლუბი კვლავ მაღალი ადგილებისათვის იბრძოლებს.

უწინდელივით „პარმა“ არ გამოირჩევა ვარსკვლავების სიმრავლით. მაგრამ ამხანაგური შეხვედრების შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, გუნდი კოლექტიური თამაშითაა ძლიერი.

ზემოთ ფავორიტებზე ვთქვით, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ სკუდეტოსათვის ბრძოლაში ჩაერთონ „რომა“, „სამპდორია“ და თუნდაც „მილანი“, დიახ, სწორედ ის გუნდი, რომელმაც უკანასკნელი წლებია ვერა და ვერ დააღწია თავი კრიზისს. წლეულს გუნდში ახალი მწვრთნელი მივიდა – ალბერტო ძაკერონი „უდინეზედან“, რომელმაც წამოიყვანა სახელგანთქმული გერმანელი ფორვარდი ოლივერ ბირჰოფი. ეს ის ფეხბურთელია, რომელიც შარშანდელ სეზონში 26 გატანილი გოლით სერია „A“-ს ბომბარდირი გახდა. ბევრი ვარაუდობდა, რომ „მილანს“ ბირჰოფი – კლუივერტის შემტევი ტანდემის შექმნით, თავდასხმაში პრობლემები აღარ ექნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა: ჰოლანდიელი ფორვარდი ამ დღეებში „ბარსელონაში“ გადავიდა და ახლა „წითელ-შავიანთა“ წინა ხაზში ოლივერს, ალბათ, ლიბერიელ ვეას შეუწყვილებენ.

ოპტიმისტურად ხვდებიან ახალ სეზონს სხვა გუნდებიც. ასე, „ბოლონიამ“, მართალია თავისი „ჯილა“ რობერტო ბაჯო გაყიდა, მის მაგივრად არანაკლებ გამოცდილი ჯუზეპე სინიორი შეიძინა. „ბეპე“ შეტევაში მიეხმარება კარგ სპორტულ ფორმაში მყოფ კოლივანოვს და ანდერსონს. საინტერესო ტრანსფერი განახორციელა „პერუჯამაც“ – საკმაოდ იაფად გადაიბირა იაპონიის ნაკრების რჩეული ფეხბურთელი ნაკატა. მისი თამაში გულშემატკივრებს, ალბათ, კარგად ახსოვთ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში და, პრინციპში, იაპონელს არ უნდა გაუჭირდეს იტალიურ გუნდთან შერწყმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იტალიის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები კვირას გაიმართა. აი, მათი შედეგები: მილანი – ბოლონია 3-0, ფიორენტინა – ემპოლი 2-0, რომა-სალერნიტანა 3-1, უდინეზე – სამპდორია 2-2, პარმა – ვიჩენცა 0-0, კალიარი – ინტერი 2-2, იუვენტუსი – პერუჯა 4-3, პიაჩენცა – ლაციო 1-1, ბარი – ვენეცია 1-0.

**მსოფლიო** ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრების სრულიად უფეროულმა თამაშმა ჯერ ვენაში ავსტრიელებთან ამხანაგურ მატჩში (2-2), შემდეგ კი რეიკიავიკში ისლანდიელებთან ევროპის პირველობაზე ოფიციალურ შეხვედრაში (1-1) კომენტატორების დიდი ყურადღება მიიპყრო.

„მსოფლიოს მშვენიერი ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთი საფეხბურთო იერარქიაში თავის ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა“ – წერს „ფრანს სუარი“. „ჩვენი აქციები დაეცა“ – სევდიანად შენიშნავს „ფიგარო“.

ამის მიუხედავად, მწვრთნელი როჟე ლემერი ფიქრობს, რომ 10 ოქტომბერს მოსკოვში რუსებთან შეხვედრის წინ არაფერი არ უნდა შეიცვალოს. ეგ არის, რომ საგოლე მომენტები ცოტა უკეთესად უნდა გამოვიყენოთ. შევეცდები, მსოფლიო ჩემპიონებს რაიმე მოტივაცია მოვუნახო.

**ხრისტო ბონევმა** გადადგომის შესახებ განცხადება ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატში მძიმე მარცხის შემდეგ შეიტანა, მაგრამ მაშინ ბულგარეთის ფეხბურთელთა კავშირმა მაინც დარჩენა ურჩია.

ახლა ბონევი უკვე საბოლოოდ გადადგა: „დავიღალე. მომწყინდა ასეთ ატმოსფეროში მუშაობა, როცა ნორმალურს ვერაფერს გააკეთებ“.

ახლა ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ორი მთავარი პრეტენდენტია: ბონევის თანაშემწე დიმიტარ დიმიტროვი და სოფიის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი გიორგი ვასილევი.

**პრემიერ-ლიგაში** ყოველთვიურად ასახელებენ ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშესა და საუკეთესო მწვრთნელს. თუ აგვისტოს საუკეთესო მოთამაშედ მაიკლ ოუენის („ლივერპული“) დასახელება სრულიად ბუნებრივად ჩაითვალა, ყურადღება მიიპყრო „ჩარლტონ ატლეტიკის“ მწვრთნელ ალან კარბიშლის დასაჩუქრებამ. კარბიშლი „ჩარლტონ ატლეტიკის“ პირველი მწვრთნელია, რომელმაც ეს პრიზი მიიღო.

**ევროპის** პირველობაზე კვიპროსელების გამარჯვებამ ესპანეთის ნაკრებთან (3-2) ამ ქვეყანაში არნახული ენთუზიაზმი გამოიწვია. კვიპროსის ნაკრების მწვრთნელი პანიკოს გეორგიუ – მეშვიდე ცაზეა.

– თუკი ყველაფერი ისევე წარიმართება, როგორც ესპანელებთან, ავსტრიის ნაკრები კვიპროსიდან 10 ოქტომბერს ნული ქულით წაბრძანდება.

კვიპროსელი ჟურნალისტები მთლიანად იზიარებენ მწვრთნელის განწყობილებას და წერენ, რომ ავსტრიელებთან შეხვედრისათვის მათი ნაკრები უკეთესად მოემზადება, რადგან იმ მომენტისათვის ეროვნული ჩემპიონატი იწყება და მოთამაშეების ფორმის დონე ამაღლდება.

## რობერტო ბაჯოს „მეორე გაზაფხული“

**სახელგანთქმული რობერტო ბაჯო იყო და რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ იტალიელ ფეხბურთელად**

● ***თქვენ „ბოლონიიდან“ „ინტერში“ გადახვედით. დაწინაურება მიიღეთ?***

– ძალიან მოხარული ვარ, რომ „ინტერში“ აღმოვჩნდი. მით უმეტეს, ჩემი უფროსი ძმები (მეექვსე ვარ რვა შვილიან ოჯახში) ყოველთვის ამ კლუბის გულშემატკივრები იყვნენ.

● ***მოგწონთ ამ კლუბში ყოფნა?***

– ძალიან. ისეთ დიდ ფეხბურთელებთან ურთიერთობა, როგორიც არიან რონალდო, სამორანო, ჯორკაეფი, პალიუკა, ვინტერი... საწვრთნელი პროცესი მშვენივრადაა მოწყობილი. „ინტერს“ ყველაზე მაღალი მიზნები აქვს: ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება, იტალიის ჩემპიონობა. დაიწყო ჩემი „მეორე გაზაფხული“. იმედია, იგი ისეთივე იქნება, როგორიც პირველი.



რობერტო ბაჯო

● ***თქვენ „სკონტოს“ წინააღმდეგ სამორანოსა და ჯორკაეფთან ერთად შეტევითი სამეული შეადგინეთ. რა იქნება, როცა რონალდო დაბრუნდება?***

– დაიწყება კონკურენცია. ვიღაცას უკან დახევა მოუხდება. ისე კი, თავდასხმის ასეთი ხაზით ჩვენ წინ ვერავინ ვერ უნდა დაგვიდგეს.

● ***ამბობენ, კარგი ურთიერთობა არა გაქვთ ჯორკაეფთან.***

– ეს ჭორია. ჩვენ მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს.

● ***ხუთი წლის წინათ თქვენ თქვით, რომ თავით თამაში არ იცით. ახლა ხომ არ შეცვლილა რა?***

– არა. ბავშვთა ფეხბურთში მე ხშირად გამქონდა ბურთი თავით, მაგრამ შემდეგ ეს უკვე აღარ გამომდიოდა. ჩემი აზრით, თუ ფეხბურთელს რაიმე ღირსებები აქვს, ის კიდეც უნდა განავითაროს. ჩემი ღირსებებია სისწრაფით წინ გაჭრა, ზუსტი გადაცემა, კარში ძლიერი დარტყმა. რაც შეეხება „ინტერს“, მას თავით თამაშის ჩინებული სპეციალისტი ჰყავს – სამორანო.

● ***ორ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში თქვენ იტალიის ნაკრებში ყურადღების ცენტრში მოიქეცით. 4 წლის წინ იტალიელები პირდაპირ გაიყვანეთ ფინალში. ახლა კი ვერ აჩვენეთ მთელი თქვენი ძალა.***

– შესაძლოა, თქვენ მართალი ხართ. გულახდილი რომ ვიყოთ, იმ ნაკრებზე, რომელიც საფრანგეთში თამაშობდა, არც კი მინდა ბევრი ლაპარაკი. ნებისმიერ შემთხვევაში, მინდორზე, პირდაპირ გატაცებული ვარ ფეხბურთით, ვხარობ, გატანილი გოლები სიამოვნებას მანიჭებს. რაც თავი მახსოვს, ფეხბურთით ვარსებობ, მიყვარს მატჩების ნახვა, ბავშვობაში კი ყოველდღე მეგობრებს ვეთამაშებოდი.

● ***ისევ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატს თუ დავუბრუნდებით, პენალტების კომპლექსი ხომ არ გაგჩენიათ?***

– არა. ხომ ნახეთ, მე შემიძლია პენალტების გატანა.. უბრალოდ, ჩემს მიერ ბრაზილიელებთან გაუტანელი პენალტი ყველას დაამახსოვრდა მატჩის რანგის გამო.

● ***როგორ შეხვდით იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დინო ძოფის დანიშვნას?***

– ნორმალურად. ვფიქრობ ჩემთვის ახლა უფრო იოლი იქნება ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა, ვიდრე მალდინის დროს. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩემს თამაშზე იქნება დამოკიდებული. მე მინდოდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში მოხვედრა და გამარჯვების მოპოვება.

● ***ბევრს ლაპარაკობენ თქვენს რელიგიურ მიდრეკილებებზე.***

– მე ბუდისტი ვარ. რელიგია სათანადო ბალანსს მაძლევს. თითოეული თამაშის წინ მედიტაციას მივეცემი ხოლმე.

● ***რაც ფეხბურთთანაა დაკავშირებული, ყველაზე მეტად რა მოგწონთ?***

– გულშემატკივრები. მიყვარს ავტოგრაფების მიცემა. გულშემატკივრებთან ერთად ფოტოსურათის გადაღება. მათ არაფერზე ვეუბნები უარს.

# ფიქრები ფეხბურთის მომავალზე

## როი ჰოჯსონი (ინგლისი)

ამ სპეციალისტმა დიდ წარმატებებს მიაღწია შვეიცარიის ნაკრებში. შემდეგ მილანის „ინტერში“ მიიწვიეს. ახლა „ბლეკბერნ როვერსს“ ხელმძღვანელობს.

აი მისი შეხედულებები თანამედროვე ფეხბურთზე:

... ყველა ქვეყანაში გართულდა ურთიერთობა ერთის მხრივ, კლუბებსა და მეორე მხრივ, ეროვნულ ნაკრებებს შორის. ფიფას წესები, რომელიც კლუბების ფეხბურთელებს ნაკრებში თამაშის პირობებს სთავაზობს, ამ მოთამაშეებთან შედეგიანი მუშაობის საშუალებას არ იძლევა. დღეს მოთამაშეების მთელ ეკონომიკურ მხარეს სწორედ კლუბები უზრუნველყოფენ: კლუბი არჩენს მოთამაშეს, ნაკრები კი არა. სამაგიეროდ, სწორედ ნაკრებები მონაწილეობენ უდიდეს საფეხბურთო შეჯიბრებებში – მსოფლიო ჩემპიონატებში, კონტინენტების პირველობებზე. თამაშის იმ დონეზე, რომელსაც ნაკრებები ამ შეჯიბრებებში აჩვენებენ, დამოკიდებულია, გარკვეულწილად ფეხბურთის მომავალი. ამიტომაც საჭიროა ამ ნაკრები გუნდებისათვის მოსამზადებელი პირობების შექმნა. ახლა ფიფა და უეფა ამუშავებენ ყველა ტიპის საერთაშორისო შეხვედრების ფიქსირებულ ვადებს. ნაკრებების მწვრთნელებმა ოფიციალური თამაშების ჩასატარებლად უნდა მოიხოვონ ოპტიმალური ვადები.

... არის პრობლემა უცხოელი მოთამაშეების მოწვევის საკითხშიც. საქმე ის არის, როცა კლუბი საუკეთესო უცხოელ ოსტატებს იწვევს. იგი ამით გზას უხშობს საკუთარ ახალგაზრდა მოთამაშეების ზრდას.

... პროფესიულ ინგლისურ კლუბებში ჩემპიონატის პერიოდში კვირაში 5-9 ვარჯიში ტარდება. ფეხბურთელებს არ უყვართ დღეში ორი მეცადინეობა. ამიტომ მწვრთნელი უნდა ეცადოს, რათა ისინი ასეთი ვარჯიშის სარგებლიანობაში დაარწმუნოს.

ჰოჯსონის აზრით, ბოლო წლებში ინგლისურსა და ევროპის სხვა ქვეყნების კლუბებშიც, რომლებსაც იგი იცნობს, არსებითი დადებითი ცვლილებები მოხდა: გაიზარდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების (მათ შორის შ. სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის სფეროში) რაოდენობა. ყველა კლუბი იყენებს კომპიუტერებს და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მათ იყენებენ მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშეების საწვრთნელად. გაიზარდა სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო საშუალებებიც.

ჰოჯსონმა მოიტანა მაგალითი ინგლისის ნაკრების მწვრთნელ გლენ ჰოდლის პრაქტიკიდან. როგორც კი ეძლევა ჰოდლს საშუალება, მაშინვე ორი დღით თავს უყრის ნაკრების მოთამაშეებს, საწვრთნელ ბაზაზე მათთან ერთად ამუშავებს მხოლოდ სხვადასხვა ტაქტიკურ საკითხებს (საკონტროლო თამაშზე უარს ამბობს).

როი ჰოჯსონმა განაცხადა, რომ წლის პირველ ნახევარში გაათავისუფლეს ნაკრებების შვიდი მთავარი მწვრთნელი, რომლებმაც ვერ გადაწყვიტეს დასახული ამოცანა: მეორე მხრივ, მწვრთნელების ამ გათავისუფლებამ დიდი მღელვარება არ უნდა გამოიწვიოს, რადგან მათი პროფესიული რეპუტაცია არავის აეჭვებს.

## მწვრთნელები კამათობენ

**ფილიპ ტრუსიე (საფრანგეთი),** არაერთ აფრიკულ ნაკრებთან მუშაობდა, შეეხო ამ კონტინენტზე ფეხბურთის განვითარების დონეს. ტრუსიე იქ 10 წელზე მეტხანს მუშაობს. თუმცა აფრიკულმა ფეხბურთმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია მსოფლიო სტანდარტების დონეს, მაგრამ იგი კონტინენტის ყველა ქვეყანაში სწრაფად ვითარდება. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატში 5 აფრიკული ქვეყანა: მაროკო, ტუნისი, კამერუნი, ნიგერია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მონაწილეობდა. მთლიანობაში თუ განვიხილავთ, ყველა მათგანი მარცხიანად გამოვიდა, თუმცა ცალკეული მატჩები ძალიან მაღალ დონეზე წარმართეს.

ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო ხელს უწყობს ფეხბურთის განვითარებას. ასე მაგალითად, მაროკოსა და კოტ დ'ივუარში შექმნილია ჭაბუკი ფეხბურთელების მოსამზადებელი ეროვნული ცენტრები.

**ჟან მანგა ონგენეს (კამერუნი)** არ მოეწონა ფილიპ ტრუსიეს განცხადება იმის შესახებ, თითქოს აფრიკის ქვეყნებში სწამთ ფეხბურთის მატჩების შედეგებში შამანების შელოცვის გადამწყვეტი გავლენა. რა თქმა უნდა, თქვა კამერუნელმა სპეციალისტმა, ასეთი ცრურწმენა არსებობს, მაგრამ პროფესიულმა აფრიკელმა მწვრთნელებმა იციან, რომ ყველაფერს სწყვეტს ვარჯიშის ხარისხი და რაოდენობა. აფრიკული ფეხბურთი – ეს ხომ ტრიალი მინდვრების ფეხბურთია, სადაც ბავშვები სრულიად უმწვრთნელებოდ თამაშობენ. ამიტომ აფრიკელებს სათამაშო ილეთების კარგი ტექნიკა აქვთ, ყველაფერი დანარჩენი კი, განსაკუთრებით სათამაშო დისციპლინა, თანამედროვე ფეხბურთის სტანდარტებს არ შეეფერება.

**ენდი როკსბურგი (შოტლანდია),** კარგა ხანს შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი იყო, ახლა უეფას ტექნიკურ დირექტორად მუშაობს. თავის გამოსვლაში დაეყრდნო მასალებს, რომელთაც წელს, ბარსელონაში ფეხბურთის სპეციალისტების კონფერენციაზე მოუყარა თავი. აი როკსბურგის რამდენიმე მოსაზრება:

... ფეხბურთელთა ევოლუცია მწვრთნელის პროფილის წეცვლასაც განაპირობებს. წლიდან წლამდე იცვლება მოთამაშეების მენტალიტეტი და მომზადების დონე, რაც მწვრთნელთა მუშაობაში აუცილებლად გასათვალისწინებელია. არ შეიძლება მწვრთნელის მთელი კარიერა ერთფეროვან მუშაობაში გაატარო.

... კარგი მოთამაშეების უდიდესი ნაწილი მილიონერებისაგან შედგება. მათთვის ფინანსური სტიმული არაეფექტურია. ამიტომ კარგმა მწვრთნელმა ფეხბურთელთა მოტივაციის რაიმე სხვა საშუალება უნდა მონახოს, რათა ისინი თამაშისათვის და ვარჯიშისათვის განაწყოს.

... მწვრთნელი თავად უნდა სწავლობდეს ნიადაგ. ამაში მათ ეროვნული და ევროპული ფედერაციები, მათ მიერ შემუშავებული მწვრთნელების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემები უნდა დაეხმაროს.

# ფლეშინგ მიდოუ – პირველი ნომრების მარცხი

ჩოგბურთელები და ჟურნალისტები! ეს საკითხი გუშინ არ დასმულა: ჟურნალისტებს ზოგი ოსტატი უყვართ, განსაკუთრებით პიტ სამპრასი და ანდრე აგასი, ზოგის სახელსაც, რამდენადაც კარგად არ უნდა თამაშობდნენ ისინი, ვერცკი გააგონებ. აი, მეორე ნომრად განთესილი ჩილელი მარსელო რიოსი უკვე მესამე წრეში რომ დამარცხდა, პრესა ამას ერთი ზარზეიმით შეხვდა. ჟურნალმა „სპორტ ილუსტრეიტედმა" რიოსს „ჩოგბურთში ყველაზე საძულველი ადამიანი" უწოდა. „იგი ისე ირჯება კორტზე, რაც არა გსურთ რომ იხილოთ. მან თითქოს არც კი იცის, საიდან გაჩნდა ეს თამაში, რომლის ზურგს უკან მილიონობით მაყურებელი და მილიონობით დოლარია. რიოსი, საერთოდ, არ ცდილობს, რაიმე შემატოს ჩოგბურთს. ვილასლა აინტერესებს იგი ამის შემდეგ?

თუ რიოსი სიხარულით გააცილეს, გულშემატკივრები დიდი სინანულით გამოეთხოვნენ მეოთხე წრეში დამარცხებულ ანდრე აგასის, რომელმაც, რაც მართალია, მართალია, შარშანდელთან შედარებით მკვეთრად გაიუმჯობესა თამაში. სლოვაკელ კარელ კუჩერასთან პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ, აგასიმ აღადგინა წონასწორობა, მაგრამ მეხუთე სეტი მაინც დათმო.

ვაჟთა შორის რაიმე დიდი სენსაცია არ მომხდარა, ფავორიტებმა წინ წაიწიეს. თუ ვაჟები მეტად კორექტულად ექცეოდნენ ერთმანეთს, იგივე არ ითქმის ქალთა ასპარეზობის შესახებ, სადაც ზოგიერთი ახალგაზრდა (დები უილიამსები, ანა კურნიკოვა) მკვეთრად, და ხშირად, უხეში ფორმით, დაუპირისპირდა ვეტერანებს.

ახლანდელი ასპარეზობა ამერიკელი ვაჟების მარცხით აღინიშნა. მთავარი ფავორიტი პიტ სამპრასი, მართალია, ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ იქ ვეღარ შეძლო ავსტრალიური ჯებირის გადალახვა – ხუთსეტიან ბრძოლაში. უპირატესობა პატრიკ რაფტერმა მოიპოვა.: 6:7, 6:4, 2:6, 6:4, 6:3. მეორე ნახევარფინალში მარკ ფილუპუსისმა (ავსტრალია) მოუგო კარლოს მოიას (ესპანეთი). აქაც ბრძოლა საკმაოდ მძაფრი გამოდგა: 6:1, 6:4, 5:7, 6:4.

ისე რომ, ფინალი წმინდა ავსტრალიური გამოდგა. აქ რაფტერმა მოუგო ფილიპუსისს და ეტყობა, მსოფლიო რეიტინგ-ლისტში პირველ ადგილზე გადაინაცვლებს.

ქალთა ფინალში პირველი და მეორე ნომრები: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და ოლიმპიური ჩემპიონი ლინდსი დევენპორტი (აშშ) შეხვდნენ. გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

## სიუ ქუნი ჩინებულად თამაშობს

ჭადრაკი

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სიუ ქუნი, რომელსაც ახლა მსოფლიოში მეხუთე რეიტინგი აქვს, კვლავინდებურად ჩინებულად თამაშობს.

ამას წინათ პეკინში გაიმართა ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ცნობილმა მალაიზიელმა ბიზნესმენმა ტან ჩინ ნამმა დააფინანსა. მან მეთორმეტე კატეგორიის ასპარეზობას 16 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდი შეუქმნა.

12 მონაწილეს შორის იყვნენ ცნობილი დიდოსტატები სერგეი ტივიაკოვი (რუსეთი), ალექსანდრ ონიშჩუკ [illegible] ინა), იაან ელვესტი (ესტონეთი) [illegible] სერგეი კუდრინი (აშშ), ჩინელებმა ორი ადგილი ქალებს — ყოფილ მ[illegible] ჩემპიონ სიუ ქუნსა და ჟუ [illegible] (ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი გოგონებს შორის) არგუნეს.

11 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ონიშჩუკი. 7-7 ქულა მოაგროვეს ტივიაკოვმა და ჩინელმა საერთაშორისო ოსტატმა ქანგ ჟონგმა, 6,5-6,5 ქულა კი ელვესტმა, ესპანელმა მახემმა და სიუ ქუნმა, რომელსაც ასევე აქვს ვაჟთა შორის დიდოსტატის წოდება.

## „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*13 სექტემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მეოცე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია: **3. 9. 21. 25. 35. 41.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

5 ციფრი – საპრიზო ფონდი 963.90 ლარი.

4 ციფრი – 11.70 ლარი.

3 ციფრი – 1.30 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 53.892 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **0. 1. 0. 8. 7. 3. 3.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 20 სექტემბერს, ჯეკ-პოტი **53.892** ლარი.

*ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წა[illegible]ებას!*

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## ჭადრაკი: ახალი მსოფლიო ჩემპიონი – ალექსანდრ შვარცმანი

34 წლის ალექსეი ჩიჟოვი უკანასკნელად (მერვედ!) მსოფლიო ჩემპიონი შაშში მას შემდეგ გახდა, რაც აბიჯანში (კოტ დ'ივუარი) გამართულ ტურნირში პირველი — მეორე ადგილები გაიყო რობ კლერკთან (ჰოლანდია), ხოლო შემდეგ დამატებითი მატჩი მოუგო მას.

ახლანდელ მატჩში, იუევსკში, ჩემპიონს მასზე სამი წლით უმცროსი ალექსანდრ შვარცმანი დაუპირისპირდა. რუსეთის ამ ორ წარმომადგენელს შორის უფრო იღბლიანი შვარცმანი აღმოჩნდა, რომელიც პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

შვარცმანი შესვენების შემდეგ ოქტომბერში ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

## ესპანელები უტევენ... დოპინგს

[illegible]სოკ-ის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრ დე მეროდის (ბელგია) წერილმა პარიზის გაზეთ „ფიგაროში", სადაც იგი ამტკიცებდა, რომ „უკვე კარგა ხანია ესპანეთში შეიმჩნევა დოპინგისაკენ მიდრეკილება", დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შემდეგ, მართალია, სხვა პუბლიკაციებში ტონი შეარბილა და თქვა, რომ „პროგრესს ესპანურ სპორტში დოპინგთან არავითარი საერთო არა აქვს".

ამის საპასუხოდ სოკ-მა გააკეთა განცხადება, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში ესპანელებმა გადამჭრელი ზომები მიიღეს დოპინგის წინააღმდეგ. შარშან 8 ათასი შემოწმება ჩატარდა, წელს კი უკვე 5 ათასი.




**15 სექტემბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (22.40). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.50). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ფეხბურთი. უეფას თასი: „დინამო" (მოსკოვი) — სკონტო (რიგა) — 19.00. ჰოკეი. ევროლიგა (0.20). ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (0.40). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***HTB плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილი (7.05; 15.10). საზაფხულო ექსტრემალური თამაშები-98 (8.15; 17.45). ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (10.20). ამერიკული ფეხბურთი (14.35; 21.45). ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის კულისებსმიღმა (15.25). ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი (15.55). ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი (20.05). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (21.15). ***EUROSPORT.*** „ოლიმპიური თამაშები" (10.35). ტრიატლონი (11.00). ექსტრემალური სპორტი (13.00; 21.00). ფეხბურთი. ევროგოლები (14.00; 19.00). ტრიატლონი (16.00). ველოსპორტი (17.00). „ყველაზე ძლიერი მამაკაცი" (22.00). ფეხბურთი. უეფას თასი (23.00; 1.00). მოტოკროსი (3.00).

**16 სექტემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** კალათბურთი. კორაჩის თასი: „აზოტი" (რუსთავი) — „შახტიორი" (დონეცკი) — 19.00. ***II არხი.*** „გოლი" (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.05; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა (10.00). ***HTB.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „შტურმი" (ავსტრია) — „სპარტაკი" (რუსეთი). საფეხბურთო კლუბი (22.35; 2.00). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***HTB плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (7.05; 15.10). საზაფხულო ექსტრემალური თამაშები-98 (8.05; 17.25). ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი (10.15). ამერიკული ფეხბურთი (11.10). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (14.00). დიდი რინგი (15.25). ბიატლონი (16.40). გოლფი (19.00). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (20.30). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის სტარტის წინ (21.35). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (22.35). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „რეალი" — „ინტერი" (0.35). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფას თასი (10.30; 15.30; 20.30). ველოსპორტი (12.00; 17.00). ექსტრემალური სპორტი (13.00). მოტოსპორტი (14.00; 19.00; 2.00). აერობიკა (22.00). სპორტული ცეკვები (23.00).

**17 სექტემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.05; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***OPT-1.*** სახელგანთქმული მოჭადრაკეები (23.30). ***HTB.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის დღიური (1.05). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***HTB плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (7.05). ბიატლონი (7.45). გოლფი (8.30). ფეხბურთი (9.10; 13.20; 15.30; 17.55; 21.55). ავტოსპორტი (17.25; 1.25). ***EUROSPORT.*** აფროსნობა (10.30), ნიჩბოსნობა (11.00). ველორბოლა (12.00); 16.30; 17.00). ფეხბურთი (14.00). მოტოსპორტი (15.00; 19.00; 3.00). ფეხბურთი (23.00; 1.00).

**18 სექტემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (23.25). ***II არხი.*** რაგბი (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.05; 21.25). ***კავკასია.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** საფეხბურთო კლუბი (18.00). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (7.05; 15.10). ფეხბურთი. თასების თასი (8.10). ლათინოამერიკული ქვეყნების ჩემპიონატები (11.05; 16.40). ჩემპიონთა ლიგის დღიური (13.15). კრივი (14.15). საზაფხულო ექსტრემალური თამაშები-98 (17.05). ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (21.55). ***EUROSPORT.*** ექსტრემალური სპორტი (10.30). ავტოსპორტი (12.00; 22.00). მოტოსპორტი (13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 20.30; 2.00). ველოსპორტი (18.30). ჩოგბურთი (19.00). კრივი (23.00; 3.00). გოლფი (0.00).

**19 სექტემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ავტოსპორტი (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.35; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** სპორტული პროგრამა (19.15). ***HTB.*** ჰოკეი (13.00). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (20.35). ***HTB плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილი (9.40). ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (9.55). „ფიფას ჟურნალი" (12.15). ჰოკეი (12.55). ჩოგბურთი (15.55. ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (22.55). დიდი რინგი (1.20). ***EUROSPORT.*** ექსტრემალური სპორტი (10.30). ავტოსპორტი (12.00; 22.00). მოტოსპორტი (13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 20.30; 2.00). ველოსპორტი (18.30). ჩოგბურთი (19.00). კრივი (23.00; 3.00). გოლფი (0.00).

**20 სექტემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.40). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (15.20). ვარსკვლავები (18.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). ***PTP.*** ფეხბურთი: „სპარტაკი" — „როსტსელმაში" (18.00). ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (1.05). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (20.45). ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (15.30). ***ACT.*** სპორტი ჩვენს პლანეტაზე (20.35). ***HTB плюс спорт.*** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (9.55). ამერიკული ფეხბურთი (12.40). საჭადრაკო მიმოხილვა (13.10). ჩრგბურთი (13.55). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (20.20). ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: „დინამო" — „ლოკომოტივი" (22.05). ***EUROSPORT.*** მოტოსპორტი (11.00; 13.00; 2.00). ავტოსპორტი (17.00; 22.00). ველოსპორტი (18.00). ჩოგბურთი (19.00). გოლფი (0.00).

## რა ხდება ქვეყანაზე

### ბიატლონი გაემიჯნა

ბიატლონის საერთაშორისო კავშირმა (იბუ) მიიღო გადაწყვეტილება გამოვიდეს თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირიდან და იქცეს დამოუკიდებელ ორგანიზაციად. ფაქტობრივად, ორივე ორგანიზაცია დამოუკიდებელი იყო ერთმანეთ[illegible]ან და რატომღაც, 1993 წლიდან გაერთიანებულად ითვლებოდნენ.

### ჩრდილოკორეელები არ ეთანხმებიან

ჩრდილოეთ კორეის მხარემ უარყო ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ენ სუნ პაკის (სამხრეთ კორეა) წინადადება სამხრეთელებთან გაერთიანებული გუნდით გამოსულიყვნენ მსოფლიო ჩემპიონატში ბელორუსიის დედაქალაქში რომ ჩატარდა. ფხენიანმა ენ სუნ პაკს უპასუხა, რომ სპორტში ერთობლივი ღონისძიება უნდა უსწრებდეს ორი ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო გადაწყვეტილებებს. არადა, ხშირად ხომ პირიქით ხდება.

### ეოკი ზეიმობს

ამერიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ღირსსახსოვარი თარიღი აღნიშნა — ნიუ-იორკიდან კოლორადო-სპრინგსში გადასვლის 20 წლისთავი. აშშ-ს ეოკმა ამ ორი ათეული წლის წინათ ბინა დაიდო სამხედრო საჰაერო ძალების ერთ-ერთ მიტოვებულ ბაზაზე. მის მაშინდელ მდგომარეობაზე ნათლად მეტყველებს საარენდო გადასახადი, რომელიც შეადგენდა ერთ (!) $-ს.

დღეს ყოფილი ბაზის, სადაც ეოკი გადაბარგდა, ნიშან-წყალი გამქრალია. მის ადგილას კოლორადო-სპრინგსში ოლიმპიური ცენტრი აღიმართა, რომლის მშენებლობა 70 მლნ. $ დაჯდა.

### კვალს ბამბუკითაც ვერ „ამოშანთავენ"

ბრიტანეთის სპორტსმენებს, აგრეთვე სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც მალაიზიის ქალაქ კუალა-ლუმპურში, ოლიმპიური თამაშების შემდეგ, უდიდეს თანამეგობრობის თამაშებში გამოდიან, ერთსანტიმეტრიანი დიამეტრის ბამბუკით გაროზგვა ელით, ვისაც დოპინგკონტროლი ნარკოტიკების კვალს აღმოუჩენს. ასპარეზობაში 70 ქვეყნის 4.100 სპორტსმენი გამოდის.

თამაშების ორგანიზატორებმა დაადასტურეს, რომ ამ ქვეყანაში მოქმედებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მკაცრი კანონი, რომლითაც ისჯებიან ნარკოტიკების მოხმარებისთვის, მათ შორის, ეგრეთ წოდებული აღმდგენი საშუალებებისათვისაც, რომელსაც განაკუთვნებენ მარიხუანასა და კოკაინს, მთელი ძალით გავრცელდება.

„კანონი ერთია ყველასათვის — სპორტსმენების, ტურისტების, ბიზნესმენებისა და უბრალო მოქალაქეებისათვის, — განაცხადა თანამეგობრობის თამაშების ფედერაციის მდივანმა დევიდ დიკსონმა. — ამიტომ, გაფრთხილებთ ამ და სხვა ზომების შესახებ".

ბამბუკის როზგის კვალი სამუდამოდ რჩება ტიტველ საჯდომზე, სინჯის შედეგებს სპეციალისტები უმალვე გამოაქვეყნებენ.





1



2



3

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. 60-70-იანი წლების ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 6. იტალიური საფეხბურთო კლუბი, 10. ნაღები საზოგადოება, 11. ტერმინი რაგბში, 12. შვეიცარიელი ჩოგბურთელი ქალი, 15. დანიური საფეხბურთო კლუბი, 16. „ფორმულა-1"-ის სახელგანთქმული პილოტი, 17. ჭიდაობისა და კრივის კომბინირებული სახეობა, 18. საქართველოს ახალგაზრდული საფეხბურთო ნაკრების იტალიელი კონსულტანტი, 21. ბანქოს თამაშის ნაირსახეობა, 23. წარსულში ქუთაისის „ტორპედოს" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 27. მთათა სისტემა აზიაში, 29. ფრანგული საფეხბურთო კლუბი, 30. კურორტი საქართველოში, 31. ფეხბურთის გულშემატკივართა სახელი ერთ-ერთ ქვეყანაში, 32. შოთა არველაძისა და გიორგი ქინქლაძის საკლუბო მწვრთნელი.

**შვეულად:** 1. საჩოგბურთო მოედანი, 2. ერთი ხელი სამაგიდო თამაშში, 3. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელი, ფორვარდი *(ფოტო)*, 4. ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ქონება, 7. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი *(ფოტო)*, 8. თავაშვებული ლხინი, 9. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი *(ფოტო)*, 13. წარსულში მინსკის „დინამოს" ფეხბურთელი, მცველი, 14. გაზისა და ნავთობის საბადო რუსეთში, 19. პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი 60-იან წლებში, 20. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ახლადდანიშნული მწვრთნელი, 22. ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 25. ბრაზილიელი საფეხბურთო ნაკრების ერთ-ერთი ბოლო მწვრთნელი, 26. ქვეყანა, რომელშიც ამ დღეებში მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, 28. ფულის ერთეული ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ფოტოკროსვორდის პასუხები:**
1. არანტა სანჩეს-ვიკარიო; 2. ზურაბ ქვანია; 3. ლინფორდ კრისტი; 4. კევინ კემპბელი; 5. დიეგო მარადონა.

## საჭადრაკო ამოცანა

ს. ტკაჩენკო
(რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლg6! - 2. ლe4X,
1. ...მg5 2. ლf5X,
1. ...მe5 2. ე:d6X,
1. ...f2 2. ლ:g2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე